# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2011 წელი.

№111 (6722)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## თუკი გინდათ, რეალურად გაიგოთ, საით მიექანება ქვეყანა, ომბუდსმენის ანგარიშში ჩაიხედეთ! ②



გიორგი ტუღუშს 30 დეპუტატი უსმენდა, ვინ იცის სად იყო დანარჩენი 120?!

## ცრუ ფეიმი




⑤

## „საქართველომ გარეგინ მეორეს სომხების ცრუ იმედების ახდენის საშუალება არ მისცა“ ③



## საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები საქართველოში პოლიციის ძალადობას გმობენ

⑧



## შერონი იქ რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ შედგებოდა ④



## რაზე დგას სინამდვილეში ვანოს უწყების ძლიერება?



③ ანუ უსაფრთხო ქვეყანა თუ ადამიანის უფლებები?!,

## ობივატელებით სავსე ქართველობა

④



„ქართული ოპოზიციის კრახის მთავარი მიზეზი ქვეყნის განვითარების ალტერნატიული პროექტის არარსებობაა“

## სააკაშვილის სახით ევროპამ ახალი დიქტატორი მიიღო ②

**პარლამენტი**

***სახელმწიფოს მხრიდან რა პასუხისმგებლობასა და რეაგირებაზეა ლაპარაკი, როცა პარლამენტში მისულ სახალხო დამცველს გასული წლის ანგარიშის მოხსენებისას 150 დეპუტატიდან მხოლოდ 30 უსმენდა, ბოლომდე 20 დარჩა. არადა საკითხი 5 საათზე მეტხანს იხილებოდა. თუ ის 120 დეპუტატი დაიფიცებს, რომ 200-გვერდიანი ანგარიში თავიდან ბოლომდე გადააბულბულა, მით უარესი, რადგან იქ მოყვანილი ფაქტები სულაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. გამოდის, რომ პარლამენტართა უდიდეს ნაწილს ხალხის ბედი არ აღელვებს, ხოლო უფრო ძარღვიანად თუ ვიტყვით, „ფეხებზე ჰკიდია“. მართალია, ნაციონალებმა ოპოზიციონერ დეპუტატებს სულ დემაგოგები უძახეს (რა თქმა უნდა, მათში არ იგულისხმებოდნენ გურამ ჩახვაძე, გია თორთლაძე, პაატა დავითაია, რადგან ისინი დარბაზში არც ყოფილან), მაგრამ არ შეიძლება, არ დაეთანხმო გიორგი თარგამაძის რიტორიკულ კითხვას: თუკი სახალხო დამცველის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს შედეგი მაინც არ უნდა მოჰყვეს, მაშინ რაღა საჭიროა ამხელა აპარატის შენახვა, ამდენი ფულის ხარჯვა, ან რაღაზე აწვალებენ ომბუდსმენს თავის გუნდიანად?***

# თუკი გინდათ, რეალურად გაიგოთ, საით მიექანება ქვეყანა, ომბუდსმენის ანგარიშში ჩაიხედეთ!

## გიორგი ტუღუშს 30 დეპუტატი უსმენდა. ვინ იცის, სად იყო დანარჩენი 120?!

გიორგი ტუღუშმა საუბარი იმით დაიწყო, რომ სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი ცვლილებებს საჭიროებს. ჩვენ შენიშვნებს ვაგზავნით პარლამენტში, რაც არასოდეს გაზიარებული არ ყოფილა. კარგი იქნება, თუკი კანონპროექტების შემუშავების პროცესებში აქტიურად ჩაგვრთავთ, – აღნიშნა მან, რაზეც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პავლიკო კუბლაშვილმა მზაობა გამოთქვა. იმედია ეს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც დამტკიცდება.

ტუღუშმა თავიდანვე აღნიშნა, რომ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ უფლებებს შეეხება, ბუნებრივია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ჭრილში, სისტემურ ცვლილებებს საჭიროებს. ომბუდსმენმა თავისი ანგარიშიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოყო, მათ შორის უმთავრესი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. **„450 მონიტორინგი განვახორციელეთ ყველა ტიპის სასჯელაღსრულების სისტემაში, 104 გეგმიური და 47 არაგეგმიური ვიზიტი. თითქმის ყველგან ჰქონდა ადგილი პატიმრების მიმართ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. გამონაკლისია არასრულწლოვანთა საპატიმროები. განსაკუთრებით რეპრესიული ზომებით გამოირჩევიან ქსნის ახალგახსნილი და რუსთავის №5 იზოლატორი, თუმცა ასეთივე ფაქტები დავაფიქსირეთ გეგუთის კოლონიაში, გლდანის ციხეში. ბათუმის, ზუგდიდის და თბილისის რამდენიმე დაწესებულებაში საერთოდ ამორტიზებულია შენობები, არ არის სამყოფი საწოლი ადგილები, მღრღნელები, მკბენარები, ანტისანიტარია, გადაუტიხრავი საპირფარეშოები... ამას ემატება სამედიცინო მომსახურების არქონა, არ არის საკმარისი არც ექიმები და არც მედიკამენტები. ციხეებში ტუბერკულოზი მძვინვარებს. გარდაცვლილია 142 პატიმარი“,** – აღნიშნა ტუღუშმა. ეს ის ციფრია, რაც ოფიციალურად მიაწოდა მის აპარატს კალმახელიძის უწყებამ, თუმცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გაგზავნილ მონაცემებში მხოლოდ 72 გარდაცვლილი პატიმარი მოხვდა.

ომბუდსმენის კრიტიკის ობიექტი გახდა ბავშვთა სახლებში არსებული სავალალო მდგომარეობა, სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულვებელყოფა (არასაკმარისად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებებიძ, პოლიციელთა მხრიდან გამოვლენილი განსაკუთრებული სისასტიკე, რითაც თურმე დასავლეთ საქართველოში გამოირჩევიან; ტუღუშმა ისაუბრა იძულებით გადაადგილებული პირების მძიმე მდგომარეობაზე: **„არაერთხელ მივმართე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გავუგზავნეთ რეკომენდაციები, მაგრამ დარღვევები კვლავ არის... განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა ფოცხოეწერში, სადაც არ არის ინფრასტრუქტურა, დასაქმების პირობები. არ არის ექიმი, აფთიაქი. არც ერთს, ჯერჯერობით, არ გადასცემია შეპირებული სასოფლო-სამეურნეო მიწა. დევნილთა უმეტესობას დღემდე არ მიუღია კომპენსაცია, ზოგიერთი კვლავ უშედეგოდ ცდილობს დევნილის სტატუსის მიღებას. ძალიან მძიმეა კონფლიქტის ზონაში და მის მიმდებარე სოფლებში ადამიანთა მდგომარეობა, მით უმეტეს მათი უფლებების დაცვის კუთხით“.**

მოხსენება საათზე მეტხანს გაგრძელდა, საუბარი იყო ჟურნალისტთა ღირსების შელახვის ფაქტებზე, პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებაზე შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს, კერძო საკუთრების ხელყოფაზე, რელიგიის თავისუფლებაზე, საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობაზე, ოჯახურ ძალადობაზე, ინვალიდთა პრობლემებზე, ბოშათა უფლებებზეც კი...

იმის მიუხედავად, რომ გიორგი ტუღუშის ანგარიში 2010 წლის ფაქტებსა და მოვლენებს შეეხებოდა, მან თავის ვალდებულებად მიიჩნია, აუცილებლად ეთქვა სიტყვა 26 მაისის მოვლენების შესახებ: **„ჩემი მორალური ვალდებულებაა აუცილებლად გავამახვილო ყურადღება ამ ფაქტზე – აღნიშნა მან, – შორს ვარ პოლიტიკური შეფასებისგან, მაგრამ აქციის დაშლა – ეს იყო სამართალდამცავთა მხრიდან ძალის აშკარა გადამეტება, არაადამიანური მოპყრობა აქციის მონაწილეთა მიმართ. ჩვენ მონიტორინგს ვახორციელებდით როგორც აქციაზე, ისე დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მძიმე და საშუალო დაზიანებებით ხვდებოდნენ ადამიანები. ჩვენი მონაცემებით, არც ერთი დაკარგული არ არის, ყოველ შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატისთვის ასეთს არავის მოუმართავს, ამიტომ დაკარგულთა შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ. აქციის დაშლა სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაულებრივ ფაქტებს შეიცავს და უნდა დაისვას უფლებადამრღვევი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა ჩემს აპარატს არა აქვს უფლება – ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება. ეს უკვე პარლამენტის პრეროგატივაა“** – განაცხადა მან.





ყოვლისმომცველი, ორგანული, პრინციპული, – ასე შეაფასა ანგარიში ქრისტიან-დემოკრატმა გიორგი თარგამაძემ და იმის მიუხედავად, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია, არაერთხელ გაიმეორა მეტაფორა „საბრალდებო დასკვნა“ – **„დიახ, ეს არის არამხოლოდ ანგარიში, არამედ ეს არის საბრალდებო დასკვნა იმ კონკრეტული პირების მიმართ, რომლებიც დასახელებული ყავს გიორგი ტუღუშს,** – დასძინა მან.

„ქრისტიან-დემოკრატები“, როგორც იცით, ორი მინისტრის – ხათუნა კალმახელიძისა და კობა სუბელიანის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ. უმრავლესობის წევრებმა ორივე უწყება დაიცვეს და აღნიშნეს, რომ ხარვეზების მიუხედავად, გაკეთებული ბევრია: შენდება ახალი ციხეები, გვარდება გადატვირთულობის პრობლემა, შენდება ახალი საავადმყოფო პატიმრებისთვის, დროდადრო გვარდება ლტოლვილთა პრობლემები და ა.შ. რაც შეეხება ომბუდსმენის კრიტიკას, ყველა ერთხმად მიანიშნებდა, რომ რახან პარლამენტში არის მძაფრი და განსხვავებული აზრის გამოთქმის საშუალება, სწორედ ეს არის დემოკრატია. **„თქვენი ანგარიში ნიშანია იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს დემოკრატია,** – აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა, **– რაც შეეხება თქვენს მოსაზრებას 26 მაისის მოვლენებზე, საინტერესოა, რას ფიქრობთ, აგოს პასუხი თუ არა სახელმწიფომ იმის გამო, რომ ის ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, თუნდაც ძალის გადამეტების ფასად?!“ როგორც გითხარით, ომბუდსმენმა პოლიტიკოსთა ქმედების შეფასებას თავი აარიდა, „ხელისუფლებას ჰქონდა ლეგიტიმაცია, აქცია დაეშალა, მაგრამ გადამატებული ძალის გამოყენება მიუღებელია“,** – აღნიშნა მან.

გიორგი ტუღუშმა იმ რეკომენდაციებზე ისაუბრა, რომელიც 2009 წლის ანგარიშის შემდეგ გაითვალისწინეს: გრძელვადიანი პაემნების შემოღება საპატიმროებში, არასრულწლოვან პატიმართა მიმართ ლიბერალური მიდგომების დამკვიდრება, რამდენიმე დაწესებულებას ყადაღა მოეხსნა, უკანონოდ დათხოვნილი პირები სამსახურში აღადგინეს... რა თქმა უნდა, პროგრესი გვაქვს, მაგრამ გაცილებით ბევრი რეკომენდაცია უპასუხოდ დარჩა. ზოგადი სურათი შორსაა სასურველისგან, – დასძინა მან.

სახალხო დამცველი, ორგანულ კანონში ცვლილებებს და უფლებების გაზრდას ითხოვს, რასაც მხარს ოპოზიცია უჭერს. ტუღუშს უმრავლესობის წარმომადგენლებმა არაერთხელ დაუკრეს ტაში და კიდევ უფრო მეტჯერ გადაუხადეს მადლობა, მაგრამ რაც შეეხება, რეაქციას, ნურას უკაცრავად. ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნის მიხედვით, ომბუდსმენის ანგარიში ტრადიციისამებრ, „ცნობად იქნა მიღებული“, რასაც ოპოზიცია კატეგორიულად არ ეთანხმება. ლევან ვეფხვაძემ ანგარიშის მასალებიდან გამომდინარე, პროკურატურის ჩართვა მოითხოვა: **„რას ვშვრებით? საკმაოდ კარგი მოხსენება მოვისმინეთ. ესეც ხომ ოპოზიცია არ არის, პოლიტიკურად ანგაჟირებული რომ უწოდოთ, დავაყენოთ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი“.** იგივე გაიმეორა ჯონდი ბაღათურიამაც: **„ბატონო ომბუდსმენო! ჩვენ ტაში დავუკარით თქვენს შრომას, თქვენს გაბედულებას და არა იმ მძიმე მდგომარეობას, რაზეც თქვენ საუბრობთ. ძვირფასო პარლამენტის წევრებო, შეისმინეთ ოპოზიციის ხმა! თუკი გინდათ, რეალურად გაიგოთ, საით მიექანება ქვეყანა, ჩაიხედეთ სახალხო დამცველის ანგარიშში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარამენტის ანგარიშში“,** – მოუწოდა მან კოლეგებს. ამ ყველაფრის შემდეგ ნუგზარ წიკლაურმა ოპოზიციის ხმას არაკვალიფიციური და უპასუხისმგებლო უწოდა.

**21:15 წუთზე ანგარიშის მოსმენა დამთავრდა.**

**ვერ გეტყვით, რამდენი დეპუტატი ისმენდა დღის პირველ ნახევარში კონტროლის პალატის თავმჯდომარის დასკვნებს, რომელიც არანაკლებ მძიმე იყო, ვიდრე სახალხო დამცველის მოხსენება, მაგრამ ვინაიდან ეკონომიკაში, საგადასახადო სისტემაში, სოციალურ სფეროში, ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით და ასე შემდეგ ამდენი პრობლემა გვაქვს, მაშინ, სად არის აქ წარმატებული პოლიტიკური კურსი, რითაც ასე ამაყობენ ნაციონალები, გასაკვირია?!**

თეა მოსია

**პარტიებსა და მოძრაობებში**

# სააკაშვილის სახით ევროპამ ახალი დიქტატორი მიიღო



**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პეტროს ეფთიმიუს შეხვდა. როგორც ბურჯანაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მან ეფთიმიუსს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე მიაწოდა ინფორმაცია.**

– მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა შევხვედროდი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს. მიუხედავად ხელისუფლების ყველა მცდელობისა, რომ არ შევხვდე საქართველოში ჩამოსულ პოლიტიკოსებს, ეს შეხვედრა მაინც გაიმართა. ეფთიმიუს მივაწოდე ინფორმაცია 26 მაისის სადამსჯელო ღონისძიების შესახებ და განვუცხადე, რომ სააკაშვილის სახით ევროპამ ახალი დიქტატორი მიიღო. ასევე გავაცანი საქართველოში დღეს არსებული სიტუაცია. ვესაუბრე იმაზეც, რომ 26 მაისის მოვლენების შემდეგ არის ძალიან ბევრი უკანონო პატიმარი და უკანონოდ ნაცემი ადამიანები, – განაცხადა ბურჯანაძემ „თბილისი მარიოტში“ გამართული შეხვედრის შემდეგ.

ХО-ЭОВ-ЭБО

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სომხური და აზერბაიჯანული მედიის შეფასებით

# „საქართველომ გარეგინ მეორეს სომხების შორსმიმავალი იმედების რეალიზების საშუალება არ მისცა“

**აზერბაიჯანული გამოცემა „Зеркало“ სრულიად სომეხთა კათოლიკოსის საქართველოში ვიზიტს „ჩაგდებულად“ აფასებს, „საქართველომ გარეგინ მეორეს სომხების შორსმიმავალი იმედების რეალიზების საშუალება არ მისცა“ — წერს სააგენტო „პირველი“.**

აზერბაიჯანული გამოცემა სომხურ მედიას მიმოიხილავს და აღნიშნავს, რომ საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებმა ერთობლივი კომისიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს, რომელიც სადავო საკითხებს განიხილავს.

„საქართველოს პატრიარქსა და პრეზიდენტთან შეხვედრების დროს **გარეგინ მეორემ ორი ძირითადი საკითხი დააყენა: საქართველოში სომხური ეკლესიის სტატუსი და სადავო ტაძრები. პირველ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სომხურ ეკლესიას საქართველოში იგივე სტატუსი ექნება, რაც ქართულს — სომხეთში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც ასეთივე განცხადება გააკეთა.** საპასუხოდ სომხეთის კათოლიკოსმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ ქართულ სათვისტომოს სომხეთში პრობლემები არასოდეს შეჰქმნია. სომხური სათვისტომოს მეორე მოთხოვნა საქართველოში სომხური ეკლესიების შენარჩუნება და სადავო ეკლესიების სომხური სამოციქულო ეკლესიისთვის დაბრუნება იყო. გარეგინ მეორემ განაცხადა, რომ პრეზიდენტსა და პატრიარქთან შეხვედრებმა მას იმედი ჩაუსახა, რომ ეს საკითხები უახლოეს პერიოდში გადაწყდება. თუმცაღა **საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, რომ მოთხოვნები და პრეტენზიები ორივე მხარეს აქვს და თუ საქმე ეკლესიებს ეხება, სომხეთში — ქართული და საქართველოში სომხური ტაძრების არსებობის დამადასტურებელი ფაქტები და დოკუმენტები ორივე მხარეს მოეპოვება. საქმე 5 ქალკედონურ ტაძარს ეხება, რომელიც სომხეთის ჩრდილოეთში, ლორეს მხარეში მდებარეობს და ქართული წარმომავლობისაა. მათ შორისაა ახტალას და კობაირას ისტორიული ძეგლები, რომლებიც შუა საუკუნეებში ქართული სამეფო კარის მიერაა აშენებული. სომხური მხარე მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი ძეგლების ქართულ კუთვნილებას არ ნიშნავს. ამ საკითხების გადაწყვეტის მიზნით საქართველოს პატრიარქი სწავლულების კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რასაც სომხური მხარეც დაეთანხმა“,** — წერს „Зеркало“.

მისივე ინფორმაციით, **„ერევანი მზად არ აღმოჩნდა იმ სამართლიანი და არაორაზროვანი პასუხისთვის, რომელიც თბილისმა საქართველოს ტერიტორიაზე სომხური მხარის ინტერესებს გასცა“.**

დეპუტატი სომხეთის მმართველი „რესპუბლიკური პარტიიდან“, „ჯავახკის“ თავმჯდომარე შირაქ ტოროსიანი „შემაშფოთებელს“ უწოდებს საქართველოს პატრიარქის განცხადებას იმის შესახებ, რომ „სომხეთის ეკლესიას საქართველოში იგივე სტატუსის იმედი შეიძლება ჰქონდეს, როგორიც ქართულს — სომხეთში. **დეპუტატის აზრით, „იმ ფონზე, როდესაც სომხეთში მცირერიცხოვანი ქართული სათვისტომოა და ქართული ეკლესიები ფაქტობრივად არ არის, სომხეთის და საქართველოს სასულიერო ამოცანების გაიგივება არასწორია“.**

ინტერნეტ-გამოცემა Times.am, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ **„გარეგინ მეორეს ვიზიტთან დაკავშირებით ჯავახეთში მცხოვრები სომხების მოლოდინი და იმედები გაცილებით დიდი იყო“.**

რაც შეეხება ქართველების მოლოდინებს, ვებ-პორტალის შეფასებით, **„მათ ველური ისტერიკა ატეხეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ორი ქვეყნის ეკლესიების მეთაურთა შეხვედრაზე შეიძლებოდა, განხილულიყო“.**

**„ქართველი ინტელექტუალების აგრესია ამ რესპუბლიკაში გამეფებული შოვინიზმის საამებლად საკუთარი ცოდნის შენიღბვის მცდელობით აიხსნება“,** — წერს თიმეს. ამ-ი და ამ მხრივ არმენოლოგ ბონდო არველაძის შეფასება მოჰყავს, რომლის თქმით, **„ერთადერთი, რისი გაკეთებაც სომხეთის კათოლიკოსს შეუძლია, აფხაზეთში ბაგრამიანის ბატალიონის ქმედებების გამო ბოდიშის მოხდაა“.**

კიდევ ერთი სომხური გამოცემის Armenia Today-ის შეფასებით, **„გარეგინ მეორეს ვიზიტამდე საქართველოში მცხოვრები სომხები იმედოვნებდნენ, რომ იგი იმ ექვსი ეკლესიის დაბრუნებას მოახერხებდა, რომელიც ქართულმა მხარემ სადავოდ გამოაცხადა, მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ სომხეთის კათოლიკოსის ეს მისია ჩაფლავდა“.**



სომხური მედია მიიჩნევს, რომ **„გარეგინ მეორემ წააგო, როდესაც განაცხადა, რომ სომხური მხარე კომისიის შექმნას დასთანხმდა და სომხეთში მზად არიან, სპეციალურმა კომისიამ ქართული ეკლესიების გადაცემის საკითხი განიხილოს“.**

**„ამ სიტუაციაში შეიძლება, ითქვას, რომ უმჯობესი იქნებოდა, გარეგინ მეორე საქართველოში საერთოდ არ გამგზავრებულიყო“,** — წერს სომხური მედია.

შეგახსენებთ, რომ სომხური მედიის ინფორმაციით, საქართველოსა და სომხეთის სულიერმა ლიდერებმა ერთობლივი კომიუნიკე მიიღეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადადის, რაც საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომხეთში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის თანასწორი იურიდიული სტატუსის განსაზღვრას, ასევე პარიტეტულ საფუძვლებზე საქართველოში სომხური (გრიგორიანულიძ და სომხეთში ქართული (დიოფიზეტურიძ ეკლესიების გახსნის ხელშეწყობას გულისხმობს. კომუნიკეში აღნიშნულია ასევე, რომ ამ საკითხების გადაწყვეტის მიზნით საჭიროა, ორმხრივი ეკლესიათაშორისი კომისია შეიქმნას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, კომუნიკე ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის და ეს მხოლოდ ქართული მხარის შეთავაზება იყო.

**ნინო ჩიჩუა**

„საიას“ ანალიზი

# უსაფრთხო ქვეყანა თუ ადამიანის უფლებები?!,

## ანუ რაზე დგას სინამდვილეში ვანოს უწყების ძლიერება

**უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ადამიანთა უკანონო დაპატიმრება, ჩხრეკა, ფარული მოსმენები... განსაკუთრებით პოლიციის „უძლეველობის“ ფონზე ასეთი ფაქტები იმდენად ბანალური გახდა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არც უჩნდება კითხვა — რამდენად სამართლიანად ხდება ეს ყოველივე?**

ალბათ, ამიტომაც, ძალიან დროული იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული ანალიზი და რეკომენდაციები — „პირადი ცხოვრების და თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება სისხლის სამართალწარმოების დროს“. აქ დეტალურად არის მოცემული, რა შემთხვევაში შეიძლება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ჩხრეკა და ა. შ. როგორც „საიას“ რეკომენდაციებიდან ირკვევა, ამ კუთხით კანონმდებლობა გადასახედია.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რომელსაც მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები იცავს, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სპექტრს მოიცავს, მაგრამ ის არ არის აბსოლუტური უფლება. იგი შეიძლება შეიზღუდოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, დანაშაულთან ბრძოლის, მისი გამოვლენის, დამნაშავე პირების დასჯის მიზნით. **შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად კანონმდებლობა უშვებს ფარულ სატელეფონო მიყურადებას.** ეს განსაზღვრულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით. ამავე კანონის მე-3 პუნქტის თანახმად, აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, „გადაუდებელი აუცილებლობისას, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე“. მიყურადების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 6 თვემდე, ასევე 9 თვემდე, რომელსაც განსაზღვრავს უკვე არა მოსამართლე, არამედ პროკურორი, რის სანქციასაც მთავარი პროკურორის მოადგილე გასცემს. „საიას“ განსაზღვრით, ვინაიდან კონსტიტუცია პირად ცხოვრებაში ჩარევას მხოლოდ სასამართლოს ანდობს, ხოლო ვადის გაგრძელების საკითხი უიმისოდ ხდება, ეს აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან.

რა თქმა უნდა, კანონით განსაზღვრულია, ფარული მიყურადების წინაპირობები, რომელსაც შიდა საკანონმდებლო საფუძველი აქვს, ის უნდა იყოს „განჭვრეტადი“. სასამართლომ დეტალურად უნდა განსაზღვროს ღონისძიების ჩატარების წესები, ღონისძიების განხორციელების მეთოდები. თუმცა „საიას“ განცხადებაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ წერილობით უპასუხეს, რომ ეს ნორმატიული აქტები გასაიდუმლოებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი არ არის „განჭვრეტადი“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი მიუთითებს, რომ ფარული დაკვირვებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური სტანდარტი: დანაშაულთა წრე, რომელიც შეიძლება მიყურადების საფუძველი გახდეს; მიყურადების ხანგრძლივობა; პროცედურა, რომელიც უნდა გამოიყენონ მოპოვებული მონაცემების შემოწმებისას; წინდახედულების ზომები, როდესაც მონაცემების დაკავშირება ხდება სხვა პირთან. ამ მინიმალურ სტანდარტებს ჩვენი კანონმდებლობა არ იცავს.

მაგალითად, კარგად გვახსოვს, ნინო ბურჯანაძის განცხადება, მასსა და ანზორ ბურჯანაძეს შორის დიალოგის ფარული მიყურადების სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, რომელსაც ის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ითხოვდა, თუმცა უშედეგოდ.

საინტერესოა ისიც, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი პირის მიერ მის მიმართ განხორციელებული ფარული მიყურადების გასაჩივრების მექანიზმი. ფარული სატელეფონო მოსმენა საიდუმლოდ მიმდინარეობს. შესაბამისად, პირს არა აქვს ინფორმაცია, რომ მას უსმენენ. არც ოპერატიულ მუშაკს ან პროკურორს არ ავალდებულებს კანონი, რომ ფარული მოსმენის დასრულების შემდეგ ამის შესახებ პირს აცნობოს. გამოდის, რომ პირისთვის უცნობი რჩება, მოუსმინეს თუ არა, ე. ი. ერთმევა გასაჩივრების შესაძლებლობა. „საიას“ განცხადებით, კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც დაავალდებულებს პროკურორს, პირს მიაწოდოს ინფორმაცია მოსმენის შესახებ, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მოსმენები დასრულდება. ახალგაზრდა იურისტები ასევე ითხოვენ, კანონში შემდეგი სახის ცვლილებებს: ფარული სატელეფონო მიყურადების ვადა განსაზღვროს სასამართლომ, მასვე მიენიჭოს კონტროლის უფლებამოსილება, კანონი გახდეს განჭვრეტადი და დეტალურად განისაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება ფარულ მიყურადებას დაექვემდებაროს, შემცირდეს დანაშულთა წრე, რომელიც შეიძლება ფარული მიყურადების საფუძველი გახდეს.

**პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმაა ჩხრეკა. ეს ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოში, ვინაიდან პოლიციელები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩხრეკენ ადამიანებს.**

2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ჩხრეკის ახალი სტანდარტები დაადგინა: ნებისმიერი წყაროდან, ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობა უკვე არის ჩხრეკის წინაპირობა. მაგრამ კოდექსი არ გვთავაზობს ინფორმაციის და ფაქტის ცალკე განმარტებას, ანუ ქუჩაში გაგონილი, ტელევიზიით



მოსმენილი ან ვინმეს მონათხრობი ამბავი შეიძლება იყოს ინფორმაცია, ხოლო სადმე ქუჩაში შემთხვევით ნანახი მოვლენა — იყოს ფაქტი. არადა, ეს პოლიციელს სულაც არ აძლევს იმის ფიქრის საბაბს, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. აუცილებელია, იყოს დასაბუთებული ვარაუდი, კონკრეტული და დამაჯერებელი ინფორმაცია.

საინტერესოა, როგორია შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტთან: როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს პირადი ცხოვრების პატივისცემასთან დაკავშირებულ საქმეებს, ყოველთვის იმაზე მსჯელობს, არსებობს თუ არა ჩხრეკის ჩატარების ჭეშმარიტი საფუძველი და იყო თუ არა პროპორციული.

იხ. ? გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მწარე სინამდვილე

# ოზივატელებით სავსე ქართველობა

## რუსეთის პრობლემური ანალიზის ცენტრი: „ქართული ოპოზიციის კრახის მთავარი მიზეზი ქვეყნის განვითარების ალტერნატიული პროექტის არარსებობაა“

**რუსეთის პრობლემური ანალიზის ცენტრი ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ვრცელ სტატიას უძღვნის და წერს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, რუსეთს საქართველოში რევოლუცია სჭირდებოდეს, თუმცა ქვეყანაში პროდასავლური ორიენტაციის შესუსტებას სიამოვნებით შეუწყობს ხელს, გვაცნობებს სააგენტო „პირველი“.**

„მოსკოვი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს. თბილისთან მის ურთიერთობებში ჯერჯერობით არაფერი იცვლება. „რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენთვის მოქმედი რეჟიმი გაბანკროტებულია. სააკაშვილის რეჟიმთან ჩვენ საქმეს არ დავიჭერთ“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა. მაგრამ ვისთან დაიჭერს საქმეს? ვისზე შეიძლება ფსონის დადება? ნაკლებ სავარაუდოა, მოსკოვმა რევოლუციისკენ უბიძგოს ქვეყანას, სადაც ბოლო 18 წელია, ხელისუფლება კონსტიტუციური გზით არ შეცვლილა, რყევების გარეშე არაფერს ჩაუვლია და ამასთან, ყოველი მომდევნო რეჟიმი ცდილობდა, ჩრდილოელი მეზობლის „იმპერიულ ამბიციებთან“ დაპირისპირების ნაწილში წინამორბედისთვის „გადაესწრო“. სულ სხვა საქმეა საქართველოს მოსახლეობაში სააკაშვილის რეჟიმისადმი გარკვეული დამოკიდებულების ფორმირება – რატომაც არა?! ბოლოს და ბოლოს, თუ საქართველოს ხელისუფლება ანტირუსულ განწყობას აღვივებს, რატომაა ვალდებული მოსკოვი, თავი შეიკავოს იმ ძალების ღია მხარდაჭერისაგან, რომლებიც კანონიერი საშუალებებით სააკაშვილის გადადგომის მიღწევას ცდილობენ?! თუმცა, არ ღირს იმის დავიწყება, რომ ამჟამინდელი ოპოზიციონერები პასუხისმგებელნი არიან იმ ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა, როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ. ამ ძალებს საკუთარ ქვეყანაში ფართო სახალხო მხარდაჭერის და ჩრდილოელი მეზობლის გულწრფელი სიმპათიის იმედი ვერ ექნებათ. სულელური ტრადიციის გაგრძელებით ისინი მომხრეების პიკეტებში, მიტინგებსა და მანიფესტაციებში ჩაბმას ცდილობენ, თუმცა ქართველი ხალხი (ისევე, როგორც, სხვათა შორის, რუსი) რევოლუციებისგან დაიღალა და აღარ სურს, მორიგი მმართველის ჩამოგდებით გამოწვეული სიხარულის შემდეგ მორიგი იმედგაცრუება გამოსცადოს“, – წერს ცენტრის ანალიტიკოსი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, „რევოლუციას ნამდვილი ქარიზმატული ლიდერი სჭირდება, ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ზურაბ ნოღაიდელი და სხვები კი, ვინც პოსტსაბჭოურ კორუმპირებულ ელიტას განასახიერებენ, ნამდვილად ვერ „ქაჩავენ“ ჟანა დ'არკის ან ოლივერ კრომველის მასშტაბის ფიგურამდე, თუმცა თავისუფლად შეუძლიათ, ერთ რიგში დადგნენ რუსეთის პოლიტიკური პანოპტიკუმის ფიგურებთან, როგორიცაა ირინა ხაკამადა, ბორის ნემცოვი და მიხეილ კასიანოვი“.

„ნინო ბურჯანაძის – „ქართველი რკინის ლედის“ ხატს წარსულში მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობების კომიზმი შლის, რომელმაც იგი საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის ორგზის (2003 და 2008 წლებშიძ გამოიყენა: ამ წლებში ბურჯანაძე რამდენჯერმე ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას და ყველანაირად ეხმარებოდა მიხეილ სააკაშვილს უმაღლესი თანამდებობის დაბრუნებაში, რომლის უზურპაციაში ახლა მას თავადვე ადანაშაულებს“, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორის შეფასებით, „ბურჯანაძემ ოპოზიციის კონსოლიდირება ვერ შეძლო, ოპოზიციური ძალები მუდმივად დანაწევრებულები არიან, მუდმივად ერთმანეთს ჭამენ და ჯერ ვერმოპოვებული ხელისუფლების გაყოფისთვის იბრძვიან, თუმცა ოპოზიციის კრახის მთავარი მიზეზი ქვეყნის განვითარების ისეთი ალტერნატიული პროექტის არარსებობაა, რომლის განსახორციელებლად რევოლუციური დესტაბილიზაციის რისკზე წასვლა ღირს“.

„სააკაშვილის ჩამოგდების შემდგომ გეგმებზე საუბრისას ბურჯანაძემ საკუთარი პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ერთიან და განუყოფელ საქართველოში, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების კურსის გაგრძელება“. რჩება მხოლოდ იმის გარკვევა, რით განსხვავდება ეს „პროგრამა“ თბილისის ამჟამინდელი რეჟიმის მორიგი დეკლარაციებისაგან?! ამასობაში თანამედროვე ქართული საზოგადოება, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მუდმივი რყევებით დაიღალა და ჯერ კიდევ ვერ გამოსულა „აგვისტოს კატასტროფის“ შოკიდან, აბსოლუტური უმრავლესობით ოზივატელებისგან შედგება, რომლებსაც არავის და არაფრის სჯერათ, ხოლო ერთადერთი, რაც ძალუძთ, ტელევიზორთან ჯდომა, ამბიციური პოლიტიკოსების სასიკვდილო შერკინებისთვის ცქერა და მზადყოფნაა, ამ ბრძოლაში მხარი გამარჯვებულს დაუჭირონ, ვინც არ უნდა იყოს იგი“, – ნათქვამია სტატიაში.

**მაკა ბრეგვაძე**



ექო

# შერონი იქ რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ შედგებოდა

**რუსეთი ყველა ჯურის ვარსკვლავისთვის დამატებითი ნაღდი ფულის საშოვნელად ნაყოფიერი ადგილია, იქნება ეს ოლიგარქი, რომელიც თავის საყვარელ მომღერალს გამოიწერს, თუ ჰოლივუდის ვარსკვლავების დესანტი, რომელმაც წვეულება უნდა გამოაცოცხლოს.**



მაგრამ ერთი ადამიანი ამ ბოლო დროს ყველაზე ხშირად ჩნდება და ეს ადამიანი შერონ სტოუნია. ნებისმიერ სიტუაციაში, რომელიც რუსეთს უკავშირდება, მისი მომღიმარი სახე ისე ჩნდება, როგორც მრავალჯერ ნანახი კოშმარი – მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რის გამო გაიმართა ესა თუ ის წვეულება – ის ყველაფერში მონაწილეობს. ერთმა სარწმუნო წყარომ რუსეთში უცხოელი „წამყვანების“ ჩამოყვანის ფასები გამანდო – სტოუნი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია, ამბობენ რომ ის ყველა ჩამოსვლაზე $250 000 იღებს. გადაუხადე ამდენი და თუ განრიგიც ხელს უწყობს, დიდი შანსია რომ გეწვიოს.

ერთი კვირის წინათ სტოუნი მოსკოვში მუსიკალური პრიზების გადაცემას დაესწრო. „მე მიყვარს რუსეთი, მე მიყვარს ეს ქვეყანა. რუსეთთან დაკავშირებული ყველაფერი მიყვარს“ – იკრიჭებოდა ის გიჟური აპლოდისმენტების ფონზე. ორი დღის შემდეგ კი თბილისში ჩავიდა, საქართველოს დედაქალაქში, 2008 წლის რუსულ-ქართულ ომზე პროპაგანდისტული ფილმის პრემიერაზე, არადა ამ ფილმში მისი საყვარელი რუსების არც თუ ისე სასიამოვნო (და ხანდახან არც თუ ისე სარწმუნოძ პორტრეტია დახატული. მან მოსკოვის №1 მტერ მიხეილ სააკაშვილთან წახუმრების დროც გამონახა. იმედი მაქვს, იმას არ მოუყვებოდა, როგორ უყვარს ყველაფერი რუსული.

ეს ბოლო ამბებია იმ ქეიფების გრძელ ნუსხაში, რომელთაც სტოუნი დასწრებია. ის იმ ყბადაღებულ „საქველმოქმედო“ აუქციონზეც იყო გასულ დეკემბერს პეტერბურგში, რომელზეც ვლადიმერ პუტინმა „ბლუბერი ჰილის“ საძაგელი ინტერპრეტაცია წარმოადგინა, ხოლო, როდესაც კამერები გამოირთო, რუს პრემიერ-მინისტრთან ერთად იმღერა კიდეც. როდესაც ჟურნალისტურმა გამოძიებამ გაარკვია, რომ კიბოთი დაავადებულმა იმ ბავშვებმა, ვის გამოც მოეწყო კონცერტი, ერთი კაპიკიც კი არ მიიღეს, ორგანიზატორმა (პუტინის ძველმა მეგობარმაძ განაცხადა, რომ რეალურად მთელი ამბავი პრობლემის გარშემო „ინფორმირება“ იყო და არა თანხების მოზიდვა.

მარტში სტოუნმა უცნაური წინადადება მიიღო – როიალ ალბერტ ჰოლში კევინ სპეისისთან ერთად მიხეილ გორბაჩოვის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს წაყვანა შესთავაზეს. იქ თავისუფლებაზე რამდენიმე ბანალური გამონათქვამი და რამდენიმე საზარელი კალამბური წარმოსთქვა და მერე კევინ კეისისთან უცნაური, ცუდად ინსცენირებული და ყალბი ფლირტი გააბა. დარწმუნებული ვარ სულ ოდნავ მეტი ფანტაზია რომ ჰქონოდათ, ორგანიზატორები გორბაჩოვის დიდ დღეზე წამყვანად ვინმე უფრო გულწრფელის მოძიებას შესძლებდნენ, ვინმეს ისეთისას, რომელსაც 1980-იანი წლების რუსეთთან მართლა რაღაც აკავშირებს. შესაძლოა ამისთვის ფულიც კი არ გადაეხადათ.

ნაძლევის ჩამოსვლას რომ ვაპირებდე, სტოუნის შემდგომი დანიშნულების პუნქტად გროზნოს დავასახელებდი. იქაურმა დიქტატორმა რამზან კადიროვმა ერთხელ უკვე გამოიწერა რობერტო კავალი იმისთვის, რაც ფეშენ შოუს არ ჰგავდა და აგრეთვე ფეხბურთის ჩამქრალი მსოფლიო ვარსკვლავების მთელი გუნდიც ჩამოიყვანა, რათა მათთან ამაოების მატჩი ეთამაშა (რობი ფოულერო და სტივ მაკმანამან, ჩაქინდრეთ თავები სირცხვილის ნიშნადძ. დარწმუნებული ვარ შესაბამის ფასად სტოუნი სიხარულით შესცინებს კამერებს და ილაპარაკებს მშვიდობასა და სტაბილობაზე, რომელიც ჩეჩნეთში დგას.

რამდენიმე რჩევა კადიროვს – სანამ სტოუნის ხელში ჩაგდებას გადაწყვეტთ, ჯერ მას რუქა აჩვენეთ, რადგან აშკარად ვერაა ძალიან მაგარი კავკასიის გეოგრაფიაში. „აზერბაიჯანი? ეს რაღას ნიშნავს?“ – იკითხა მან ორი წლის წინათ, აშკარად დაბნეულმა, როდესაც სუფლიორზე მისი მასპინძლის, თურქეთში ახლადგახსნილი სასტუმროს მფლობელი მილიარდერის გვარი დაიწერა. „ამას ვერ წარმოვთქვამ! ჩაკა ხანი, ჩაკა ხანი!“

**შონ ვოლკერი**

THE INDEPENDENT

ინფორმაცია

## „დექსუსი“ მშენებლობას განაახლებს

**მენეჯმენტ კომპანია „დექსუსი“ „ცენტრ პოინტის“ 3 შეჩერებულ პროექტს განაახლებს. ამჯერად სამშენებლო სამუშაოები საკაძის მოედნის კომპლექსზე, სამგორის „თეთრ სახლსა“ და ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე მეოთხე კორპუსში, ე.წ „ხერხზე“ დაიწყება. სამივე ობიექტის მშენებლობა ივლისის თვეში, ეტაპობრივად განახლდება.**

**კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით, ამ პროექტების დასრულების შემდეგ კუთვნილ საცხოვრებელ და კომერციულ ფართებს 1000-მდე მომხმარებელი მიიღებს. სამშენებლო სამუშაოების განახლების პარალელურად გამოცხადდება თითოეული მათგანის დასრულების კონკრეტული თარიღებიც. „დექსუსი“ ობიექტების მშენებლობაში 15 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს.**

დექსუსი
მენეჯმენტ კომპანია

XO-ეიბ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 111. ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2011 წელი.

გლობუსი

# ცრუ ზეიმი

**საქართველოში რუსეთის თემა, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობები ორ წელზე მეტია, არ არსებობს, მთავარია და ეს არ არის გამოწვეული იმით, რომ რუსეთს, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი უკავია, ამ შემთხვევაში ტერიტორიის თემა მეორეხარისხოვანია. პირველი კი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებას აშშ-ს ადმინისტრაციასთან ერთად ხელს აძლევს რუსეთის მტარვალ-დამპყრობლად პერმანენტული წარმოჩინება. მავანი შემედავება, როგორ არისო ტერიტორიების საკითხი მეორეხარისხოვანი, როცა თვით პრეზიდენტის გულწრფელი განცხადებით ყოველღამ ამ საკითხზე ფიქრობსო. გეთანხმებით. ტერიტორიების საკითხი არათუ პირველი, არამედ უპირველესია ნორმალური, დალაგებული აზროვნების ხელისუფლებისთვის, რასაც დღევანდელ ხელისუფლებას ვერაფრით დასწამებთ.**

ტერიტორიას ნებისმიერი ხელისუფლება თვალისჩინივით უფრთხილდება და თუ არაკეთილისმსურველ მეზობელს გაუჩნდება მისი დაკავების სურვილი, უმალ მიმართავს სხვადასხვა ხერხს, მათ შორის დიპლომატიას – საკითხის მოსაგვარებლად. მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული კინკლავი უცბად არ იწყება, მას ხანგრძლივი ისტორიული უკმაყოფილება გასდევს თან, რომლის მოწესრიგება მოითხოვს მოთმინებას, მიზანმიმართულ მოქმედებას, დიპლომატიური ტექნიკის ქონას. სამწუხაროდ დღევანდელ საქართველოს არც ძალით და არც დიპლომატიით არ ძალუძს ერთობ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის მოგვარება.

თანამედროვე მსოფლიოში დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის მეტად მნიშვნელოვანი ატრიბუტია სახელმწიფო საზღვრები. დღიდან დამოუკიდებლობის მიღებისა, ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა სერიოზული ნაბიჯი ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში მეზობლებთან საზღვრების მოუწესრიგებლობამ არაერთხელ იჩინა თავი. არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალში მან სერიოზულ უკმაყოფილებას შეგვახვედროს.

ტერიტორიული მთლიანობის საკითხმა 20 დამოუკიდებელი წლის განმავლობაში არაერთხელ შეაწუხა საქართველოს ხელისუფლება, თუმცა ყველა შემთხვევაში მის მიერ მიღებული ძალისმიერი გადაწყვეტილება იყო მიუღებელი, ქვეყნისთვის დამღუპველი. პოლიტიკური თბილისის მიერ გადადგმული ნაბიჯები იყო არასათანადოდ გააზრებული, დაუფიქრებელი და ავანტიურისტული. ნანობს საქართველოს ხელისუფლება მის მიერ ნამოქმედარს? ცხადია არა. წინა ხელისუფლებამ ძალისხმევა არ მოაკლო ტყუილი ისტორიების შეთხზვას და საკუთარი თავის გამართლებას. არც დღევანდელი ხელისუფლება ზოგავს ძალებს და ფინანსებს ამისთვის. **ნანობს დღევანდელი ხელისუფლება იმას, რასაც 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა ადგილი? საეჭვოა. ეჭვის საფუძველს ამაგრებს მხედართმთავრის განცხადება – მერე რა, რამდენიმე სოფელი დავკარგეთო. სააკაშვილი გულწრფელია, ვინაიდან ასეულობით სოფლის დაკარგვა და არა რამდენიმეს ვერ შეედრება იმ PR-ს, რაც მოჰყვა ცხინვალის ომს და მასში დამარცხებას. მთავარია PR და მასში გამარჯვება, რაც მართალია PR-ში სააკაშვილმა გაიმარჯვა, ბეჭებზე დასცა რა ძლიერი მეზობელი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ვინ დათვალოს რამდენი ტელესიუჟეტი, სტატია, ბროშურა, წიგნი, კონფერენცია, ფილმი მიეძღვნა რუსეთის აგრესიას და პატარა, დაჩაგრული კრავ – საქართველოს. აგვისტოს ომმა ისეთი ანტირუსული კოზირები დააჭერინა ხელში დასავლეთს, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა კაცი.** მერე რა, რომ ევროკავშირის კომისიამ ტალიავინის ხელმძღვანელობით, დაადგინა პირველი გამსროლი. მთავარია ის, რომ მას მოჰყვა რუსული იერიში. კრემლმა არაფრად ჩააგდო ამერიკის საქართველოსთან მეგობრობა და ისე განავითარა სატანკო შეტევა, ლამის თბილისი აიღო. და ალბათ ასეც იქნებოდა, რომ არა ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარის, საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის ძალისხმევა. რომ არა სარკოზი – სააკაშვილის ხელისუფლების ჭაჭანება არ იქნებოდა. ზოგის აზრით ეს იქნებოდა ხელისუფლების ჩამოგდების ერთადერთი გზა, ზოგნი თვლიან, რომ თბილის-დამპყრობელ რუსეთს ფეხს ვერავინ მოაცვლევინებდა საქართველოდან. ის ისეთ ხელისუფლებას დასვამდა, მკვეთრად რომ შეცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას – დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ. პოლიტიკური ვარაუდებით ლაპარაკი ფუჭი საქმეა, ამდენად მსჯელობა განუხორციელებელ წარსულზე უაზრობაა, ისე, როგორც ამჟამინდელი რუსული შემოტევის რეანიმაცია. მაგრამ პოლიტიკურად უმწიფარ ზოგიერთ ქართველში, თანაც რუსეთში გადახვეწილში ორჯონიკიძის თემა უკვდავია – დროის, ვითარების, მსოფლიო პოლიტიკის გაუთვალისწინებლად. ნუთუ ასე ძნელია საერთაშორისო ვითარებისათვის თუნდაც ზედაპირული გადახვევა ან რუსეთის საშინაო ცხოვრებაში ჩახედვა? **რომელი ჭკუათმყოფელი რუსი პოლიტიკოსი გადადგამს თავდასხმის ნაბიჯს ქართველი ხალხის საკუთარი ხელისუფლებისგან გასათავისუფლებლად? 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული რუსეთი ცდილობს აგრესორის იმიჯის ჩამორეცხვას, მაგრამ შედეგი ისეთი არ არის, როგორსაც ისურვებდა. 2008 წელს რუსეთს ჰქონდა საბაბი იერიშის მოტანისათვის – სააკაშვილის თავდასხმა მძინარე ცხინვალზე და რუსი მშვიდობისმყოფელების დახოცვა. დღეს? მარტო ის, რომ მოსკოვში მყოფ ზოგიერთ ქართველს არ სურს სააკაშვილის ხილვა ქვეყნის სათავეში, არგუმენტი არ არის. საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, ცხადია, მიკერძოებულის, მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს სააკაშვილს. რუსი დაგვეხმარებაო, უტეხად აცხადებდნენ მოსკოველი „რევოლუციონერები“ და მაგალითად მოჰყავდათ მათი მჭიდრო კონტაქტები რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინთან. ამ ტყუილის თვითონაც დაიჯერეს და, რაც არანაკლებ სავალალოა, სახალხო კრებაც დააჯერეს.**

რევოლუციები გადამდები რამაა, მით უმეტეს, თუ მას შედეგი ახლავს, თუნდაც ისეთი, რასაც ადგილი ჰქონდა ტუნისსა და ეგვიპტეში, მაგრამ ამისთვის საყოველთაობაა საჭირო, ანუ ქუდზე კაცი. ასეთ დროს ვერც ხელისუფლება და ვერც პოლიცია ვერ ბედავს სადამსჯელო ოპერაციის ორგანიზებას. ნაკლები სახალხოობის შემთხვევაში შედეგი ისეთია, როგორიც 26 მაისის. მთავარია ხალხის დარაზმვა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში რამდენად შესაძლებელია ასეთი რამ? ხელისუფლების საქებრად უნდა ითქვას, რომ მან ყველაფერი იღონა ხალხის სრულ მორჩილებაში ყოლისათვის. იმ ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს – ხალხი მზადაა თვით მოიტანოს საკუთარი თავის ჩამოსახრჩობი თოკი. ხალხის რევოლუციურ განწყობას გარკვეულწილად ზღუდავს ხელისუფალთა მისამართით ცნობილ პიროვნებათა თავდავიწყებული ხოტბა. ცხადია, ისინი ამას უანგაროდ არ ჩადიან, მაგრამ ფართო საზოგადოებამ იცის ამის შესახებ?




ხალხზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე მოქმედებს სანახაობები, თუნდაც ისეთი, როგორსაც ადგილი ჰქონდა 5 ივნისს – ამერიკელთა მიერ გადაღებული ფილმის პრემიერისას. ზეიმად ქცეულმა სანახაობამ, ჰოლივუდის მსახიობების ხილვამ, რუსთაველზე გაფენილმა წითელმა ხალიჩამ, მომნუსხველად იმოქმედა მათზე. მაყურებელს, მშიერსა და მწყურვალს ახალისებს მაძღრისა და წარმატებულის ხილვა; ინდური ფილმებისა არ იყოს – ადგილი აქვს დამშეულის მიერ მაძღრის ბედის, თუნდაც ორი საათით გაზიარებას, საკუთარ თავზე მორგებას. ასეთ დროს ის ნამდვილად არ ფიქრობს – საიდან ფული? რა ღირს ეს ბედნიერება? ხელისუფალთა წყალობით ქვეყნის პოტენციური რევოლუციური ძალა, ახალგაზრდობა ისეთ კონდიციამდეა მისული, გართობის მეტი რომ არაფერი აინტერესებს. **პურისა და სანახაობის ხელოვნებას, მრავალი საუკუნის წინათ გამოგონილს, ზედმიწევნით კარგად ფლობს სააკაშვილი. მოჩვენებითი ზეიმების მოწყობა, დუხჭირი ცხოვრების წარმატებულად მოჩვენება, სააკაშვილის ხელისუფლების სავიზიტო ბარათია. საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი თუ ხვდება, ვინ აფინანსებს ამ ზეიმებს, უფრო მცირე – რომ სწორედ ხალხი. ზღაპრული წრის დაწერილი თუ დაუწერელი კანონების მიხედვით სააკაშვილი ფულს აწერს ე. წ. ბიზნესმენებს, ისინი კი ხალხს. ასე და ამრიგად იზრდება ფასები კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, პირველი მოხმარების საგნებზე. წაგებული არც ხელისუფლებაა და არც ბიზნესი, წაგებული ხალხია, რომელსაც ძვირი დაუჯდა 5 ივნისის ზეიმი, ეკვადორიდან ჩამოტანილი ვარდები, პარიზიდან მოწვეული კულინარი, შერონ სტოუნის ფამილარული კისკისი მიშიკოსთან, ჰოლივუდელი მსახიობებისა და რეჟისორის მიერ საქართველოს მისამართით ნასროლი სასიყვარულო სიტყვები. ფული რას არ გააკეთებინებს კაცს, არათუ მიწის კოცნას, არამედ...**

მწუხრიდან ზეიმის შექმნა ახალი ფენომენია კაცობრიობის ისტორიაში. და მართლაც მუდმივად ხომ არ ვიქნებით გლოვაში? მით უმეტეს, როდესაც ვერავითარი გამარჯვება ვერ მოუტანდა საქართველოს პრეზიდენტს ისეთ PR-ს, როგორიც დამარცხებამ. დათვის მიერ გალახული კრავ-საქართველო ყველას პირზე აკერია, – ნახეთ რუსეთს რას უზამს საერთაშორისო საზოგადოებაო, – გვამხნევებს ხელისუფლება. ვგონებ, ქართველ პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა გარდა არავის სჯერა ამ სასწაულის. აშშ-ს პრეზიდენტის ობამას სიტყვებიდან გამომდინარე, რომელიც მან დიდი რვიანის ბოლო სამიტზე წარმოთქვა, თუ მთლად არა, მცირედით მაინც შორს არ არის იმისგან, რასაც ის ფიქრობს რუსეთთან მიმართებაში: **„ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთის შესვლა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში წაადგება რუსეთის ეკონომიკას, ამერიკის ეკონომიკას, მსოფლიოს ეკონომიკას. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ ამას“.** ობამა თვლის, რომ ამერიკა-რუსეთს შორის ხორციელდება გადატვირთვა, რაც ხელს უწყობს სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას.

დიდთა ურთიერთობაში ყოველთვის ექნება ადგილი სხვადასხვა დოზით დაპირისპირებას, მაგრამ არა ისეთს, რასაც საქართველოს ხელისუფლება ინატრებდა. ფუჭი მოიმედობა საკუთარი პრობლემების მოგვარებისთვის უშედეგოდ თავდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

„საიას“ ანალიზი

# უსაფრთხო ქვეყანა თუ ადამიანის უფლებები?!

(მესამე გვერდიდან) ჩხრეკის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს პოლიციის მიერ განხორციელებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა გამოირიცხოს შეცდომა ჩხრეკის წინაპირობასთან დაკავშირებით, ამასთანავე დაკონკრეტებული უნდა იყოს ჩხრეკის ჩატარების ფარგლები, რათა პროპორციულობა არ დაირღვეს. ასეთი „აუცილებლობა“ სულაც არ არის საჭირო ქართული კანონმდებლობით...

**... და ყველაზე მთავარი – რა შემთხვევაში შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდება.** „საიას“ კვლევის მიხედვით, სასამართლო პრაქტიკაში აშკარად გამოიკვეთა ამ აღკვეთის ღონისძიების არაპროპორციული შეფარდება, რამაც პირის თავისუფლების ხელშეუხებლობის დარღვევის საკითხი წამოწია. „საიას“ მიერ შესწავლილ თითქმის ყველა საქმეს დაუსაბუთებლობის პრობლემა ახასიათებს: დაუსაბუთებლობა იმისა, თუ რა განაპირობებს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, თუ რა იწვევს კონკრეტულად პატიმრობის შეფარდების აუცილებლობას. მეტიც, აშკარად ჩანს ყოველგვარი მყარი არგუმენტების გარეშე მოსამართლეთა და პროკურორთა თვითნებობა.

**„საიას“ ანალიზში მოხვდა ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი.** ინტერნეტი ადამიანთა კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ის თავისუფლად შეიძლება გახდეს დანაშაულის გახსნის ერთ-ერთი მეთოდი. ამიტომ კანონმდებლობაში აღნიშნულია მასზე კონტროლის აუცილებლობა. საგულისხმოა, რომ ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი სასამართლოს კონტროლს არ ექვემდებარება, აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო არ არის მოსამართლის ნებართვა.

**ანუ გამოდის, რომ ადამიანებს გვისმენენ ტელეფონით, გვითვალთვალებენ ფარული კამერებით, გვიკონტროლებენ ინტერნეტს... ამის შემდეგ თუკი საკითხს დავსვამთ შემდეგნაირად – გრძნობთ თუ არა თავს დაცულად, ან არის თუ არა რეალურად საქართველო უსაფრთხო ქვეყანა? – თავისთავად ვუპასუხებთ – დიახს! მაგრამ თუკი კითხვას დავსვამთ სხვა კუთხით – ირღვევა თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფლების უფლება, ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ – დიახ! თუკი ასე არ არის, მაშინ მიპასუხოს ვინმემ – უსმენს თუ არა მას ვანოს უწყება, ან თუ არსებობს საქართველოში სადმე ისეთი კომუნიკაცია, რომელიც შსს კონტროლს გარეთ რჩება?! აი, რატომ არის ძლიერი ჩვენი პოლიცია. დღესდღეობით „დემოკრატიის შუქურით გაბრწყინებულ“ ქვეყანაში მოქალაქეები ორი სერიოზული დილემის წინაშე ვიმყოფებით – უსაფრთხო, სტაბილური, მუდმივი მეთვალყურეობით დაშინებული ადამიანები თუ პიროვნების უფლებები, ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემა?**

**სამწუხაროდ, რატომღაც ისე ვერ ხდება, რომ ორივე ჰიპოთეზამ იდილიურ გარემოში მოიყაროს თავი... არადა, დემოკრატია ხომ სწორედ ესაა?!**

**თეა მოსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პერსპექტივა

**ბათუმი, ფოთი, სოხუმი (საქართველო), ნოვოროსიისკი, დონის როსტოვი, ტაგანროგი (რუსეთი), მარიუპოლი, მელიტოპოლი, ოდესა (უკრაინა), კიშინიოვი (მოლდოვა), ბუქარესტი (რუმინეთი), ხასკოვი (ბულგარეთი), კომოტინი, ალექსანდროპულისი (საბერძნეთი), ედირნე, ტრაბზონი და სტამბოლი (თურქეთი) — აი, შავი ზღვისპირეთის რვა ქვეყნის ის 17 დიდი და კიდევ უამრავი პატარა ქალაქი თუ დაბა, რომელიც აქ არ დაგვისახელებია, რომლებზეც გაივლის შვიდ ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის თანამედროვე საავტომობილო გზა შავი ზღვის გარშემო. მისი დანიშნულებაა რეგიონის ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ და ტურისტულ კავშირთა ახალ სიმაღლეზე აყვანა, მათი მაქსიმალურად გააქტიურება, რასაც თანამედროვე კრიზისულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველასთვის.**

# გზატკეცილის ბეჭედში ჩასმული ზღვა



„შავი ზღვის გარშემო წრიული მაგისტრალის კოორდინირებული განვითარების მემორანდუმის" თანახმად, გამტარიანობის მაღალი ხარისხის გზატკეცილის სიგრძე 7140 კილომეტრი იქნება. პროექტში მონაწილე მხარეთა საერთო აზრით, მისი ფრთაშესხმა უდიდეს ბიძგს მისცემს არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკის მრავალი სფეროს მნიშვნელოვან აღმავლობას.

ამასთან, ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ უაღრესად პოზიტიური პროექტის განხორციელებისას მხარეებს მრავალი პრობლემის გადაჭრა მოუწევთ, რომელთა შორის, გარდა წმინდა წყლის ტექნიკური სიძნელეებისა და ფინანსების მოძიების საკითხისა, სავარაუდოა პოლიტიკური პრობლემების პირველ პლანზე წამოწევა, რომელთა ფესვები არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში ძევს. კერძოდ, ლაპარაკია 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად აჭარის საგარეო გრანტები, რომელზეც შავი ზღვის წრიული გზატკეცილის საქართველოს მონაკვეთის ნაწილი გაივლის, რუსეთი და თურქეთი არიან. ამდენად, ფაქტობრივად, ისეთი ვითარება იქმნება, რომ გზის ამ მონაკვეთის გაყვანა ამ ხელშეკრულების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობის თანამედროვე ეკონომიკური სტრატეგიიდან გამომდინარე, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაა, ასევე აფხაზეთის მიმართ დე ფაქტო არსებული ვითარება, ამ საკითხს დიდი შინაგანი დაძაბულობის მუხტს აძლევს. ამასთან, მრავალი ექსპერტი იმასაც უსვამს ხაზს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის ბოლო წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური პოლიტიკური ურთიერთობების, ასევე მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების და, ამასთან ერთად, პროექტში ჩართული ყველა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, ყარსის ხელშეკრულებამ რაიმე სერიოზული პრობლემები არ უნდა წარმოშვას.

რაც შეეხება თავად შავი ზღვის გარშემო ავტომაგისტრალის მშენებლობის საინჟინრო და სხვა ასპექტებს, აქ აღსანიშნავია, რომ თავად მთავარ წრიულ გზატკეცილთან ერთად, მისი ერთიანი ინფრასტრუქტურისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება ასევე რადიალური განშტოებები. მათგან ერთი უაღრესად მნიშვნელოვანის გაყვანა ასევე საქართველოს ტერიტორიაზეა დაგეგმილი. იგი ბათუმი-ახალციხის მონაკვეთით დაიწყება და შემდგომ სომხეთის ტერიტორიაზე გაგრძელდება — გიუმრი-ერევანი-რაზდანი, რის შემდეგ ისევ საქართველოში შემოვა და თბილისში დასრულდება. ამ გზით (საქართველოს მეშვეობით) სომხეთი თურქეთსა და აზერბაიჯანს დაუკავშირდება, რასაც სერიოზული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამდენად, პროექტის განხორციელებით, როგორც სომხეთის სტრატეგიული პარტნიორი, რუსეთიცაა დაინტერესებული.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, პროექტის განხორციელებაში დაინტერესებულია, ამ შემთხვევაში, ალბათ, გარკვეული (შესაძლოა მნიშვნელოვანიც) წინააღმდეგობა წარმოიშვას რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის გამო, რომელიც სადღეისოდ, უწინარესად, მისი აგრესორული პოლიტიკითაა განპირობებული. ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ საკითხში გარკვეული კომპრომისული გადაწყვეტილების გამოძებნა იქნება საჭირო.

**ლალი ხუნდაძე**

პერსპექტივა

# რექტორი მთავარ როლში და...

## ანუ როგორ შეუძლია ბუნებით მაძიებელ-შემოქმედ ადამიანს, რომ ბევრისთვის პროჟექტად მიჩნეული პროექტი რეალობად აქციოს

**საქართველოსა და უკრაინის მრავალსაუკუნოვანი სამოყვრო ურთიერთობების ისტორიაში ახალ და საინტერესო ფურცლებს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ის სასწავლო ცენტრებიც წერენ, უკანასკნელ წლებში რომ შეიქმნა საქართველოში.** მისი რექტორი **გარი ჩაფიძე** უკრაინის საპატიო მოქალაქეა. მან, სრულიად ახალგაზრდამ, ბევრი რამ მოასწრო. საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, ერთდროულად არის უკრაინის საკადრო პოლიტიკის ინსტიტუტის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი. ამერიკაში პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში არსებული პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. იგი ახლახან აირჩიეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური კავშირის თავმჯდომარედ.

სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემაში საკუთარი შესაძლებლობების ძიება გარი ჩაფიძისთვის თვითმიზანი არ არის. იგი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-კულტურული ყოფიდან გამომდინარე, ქართველი ახალგაზრდების ბედით დაინტერესებული, აარსებს ისეთ სასწავლო ცენტრებს, სადაც ისინი პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ.

საქართველოს 11 რაიონში უკვე შეიქმნა და წელს პირველ კურსდამთავრებულთა ნაკადს გაუშვებენ სასწავლო ცენტრები, რომელთაც აქვთ კომპიუტერული სწავლების, დაცვა-პატრულირების და მეღვინეების მომზადების სპეციალობები. საყურადღებოა, რომ სასწავლო პროცესიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, წელსაც არის მიღება განსხვავებულ სპეციალობებზე. კერძოდ, რუსთავის სასწავლო ცენტრში, სადაც უკვე 200-მდე მოსწავლეა, დაფუძნდა ახალი მიმართულება — ეროსი მანჯგალაძის სახელობის კინოსა და თეატრის სპეციალობა, რომელიც თეატრალური ტრადიციების ქალაქ რუსთავს სამომავლოდ დამწყებ მსახიობებს გაუზრდის. ეს, ჯერჯერობით, შემდგომ კი, ასეთი ფაკულტეტები სხვადასხვა რაიონში არსებულ ცენტრებსაც დაემატება.

საექსპერიმენტო პერიოდი გავლილია. რუსთავის სასწავლო ცენტრმა პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობები უკვე მოსინჯა და გამოავლინა კიდეც.

უკრაინა, საქართველოს მსგავსად, უდიდესი თეატრალური ტრადიციების ქვეყანაა, სადაც ძალიან ხშირად იმართება საერთაშორისო დონის თეატრალური ფესტივალები. ასე იყო ამჯერადაც — დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროძერჟინსკში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი თემაზე — „კლასიკა — დღეს". რუსთავის სასწავლო ცენტრშიც მოვიდა მოწვევა მონაწილეობის შესახებ. შეირჩნენ მოსწავლეები, შეირჩა თემა, მოიწვიეს პროფესიონალი მსახიობი ჯული ოშხერელი და დაიწყო სამზადისი.

აკაკი წერეთლის „კინტო და ბუტიაობა" კომედიური ჟანრის ორმოქმედებიან სპექტაკლად მომზადდა, რომელშიც მონაწილეობდნენ პედაგოგი **ელენე ქიბროწაშვილი,** სტუდენტები **ნანა მაჭარაშვილი, ვერიკო მაისურაძე, გიორგი ჯიქიძე, ანა გაგელაშვილი** და...

სპექტაკლში მონაწილე ერთ-ერთი სტუდენტი, მთავარ როლს რომ ასრულებდა, ფეხის ტრავმის გამო უკრაინაში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე გამოეთიშა შემოქმედებით ჯგუფს. მისი როლის შესრულება იკისრა და ორ დღეში მოამზადა ტექსტი ინსტიტუტის რექტორმა გარი ჩაფიძემ.

— მოწვევა მიღებული გვქონდა, ჩვენი მონაწილეობის შესახებ უკრაინის მხარემ უკვე ოფიციალურად იცოდა, უპირობო ქართველი წარმოუდგენელია, სხვა გზა არ მქონდა, სპექტაკლის მთავარი გმირის ილიას როლი ორ-სამ დღეში გავითავისე და გავფრინდით, — ამბობს ბატონი გარი.

უამრავი ქვეყნიდან მოწვეულ შემოქმედებითს დელეგაციებს შორის მოწონება დაიმსახურა და ერთგვარი აჟიოტაჟიც გამოიწვია აკაკი წერეთლის კლასიკურ ლიტერატურულ მასალაზე შექმნილმა მშვენიერმა სპექტაკლმა და იმ ფაქტმა, რომ მთავარ როლში სოლიდური პიროვნება, თავად რექტორი მონაწილეობდა.

ქართული სპექტაკლის ჩვენება მრავალდღიან ფესტივალში 26 მაისს დაიგეგმა, რამაც გარკვეულწილად ამაღლებული განწყობა შექმნა სტუმრებსა და მასპინძლებს შორის.

ყველასათვის გასაგებ თემაზე, სიყვარულზე დადგმულ სპექტაკლს, დიდი მოწონება ხვდა წილად, რის გამოც ფესტივალის შემაჯამებელ საღამოზე საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო რუსთავის აკადემიური ქალაქი — მსოფლიო მეცნიერების ფუძემდებლის პლატონის ოქროს ორდენით.

შემოქმედებითი დელეგაციის ყველა მონაწილეს, მათ შორის სპექტაკლის რეჟისორს, მსახიობ ჯული ოშხერელს, პედაგოგს ელენე ქიბროწაშვილს, ორგანიზაციულ მხარდამჭერს, დუშეთის სასწავლო ცენტრის მეთოდკაბინეტის გამგეს, პედაგოგ თამარ ალუდაურს ხაზგასმული მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდების თანადგომისთვის. უამრავი საჩუქარი, რევერანსი და მადლობა — ქალაქ დნეპროძერჟინსკის ოფიციალური პირებიდან და ფესტივალის ორგანიზატორებიდან — უდავოდ სიამაყის საბაბია.

... მდინარე დნეპრის ორივე მხარეზე გაშენებული ქალაქი ნამდვილად ორიგინალურია, მარჯვენა სანაპიროზე მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტებია, მარცხენა სანაპიროზე კი მოსახლეობა ცხოვრობს.

ქალაქს აქვს თავისი საამაყო ისტორია, ჰყავს უამრავი მეცნიერი, ღვაწლმოსილი ადამიანი და აქვს ულამაზესი ღღევანდელობა ძლიერი ეკონომიკით, სოციალური ყოფით, კულტურით, მეცნიერული მიღწევებით, განათლებით. ქართული დელეგაცია იქ ყოფნის მანძილზე მუდმივად გრძნობდა სიყვარულსა და მხარდაჭერას, რაც კონკრეტულად მიღების, დაბინავების, ურთიერთობების დროს ხაზგასმულად გამოიხატა. მაღალი კლასის სასტუმრო, კვება, სეირნობა, შეხვედრები, დათვალიერება — უფასოდ, სხვა დელეგაციებისგან განსხვავებით, რაც, ასევე, უდავოა, თვით გარი ჩაფიძის მიმართ გამოხატული ერთგვარი პატივსაცემი ჟესტი იყო.

... ფესტივალი დამთავრდა, ფესტივალი გრძელდება...

ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა ყველაფერი ვრცლად გააშუქეს, მსახიობ რექტორზე კი განსაკუთრებით გაამახვილებინეს ყურადღება მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს.

„ჩემი ტავრია" — ასეთი სახელწოდებით გაიმართება მომავალ წელს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უკრაინაში, კერძოდ, ქალაქ ხერსონში, რომელშიც აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას რუსთაველი და არა მხოლოდ რუსთაველი მოსწავლე-მასწავლებლები. სპექტაკლის სცენარს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას" მიხედვით თვით გარი ჩაფიძე ამზადებს. თავად მწერალს, 80 წიგნის ავტორს, შემოქმედს, აქვს სურვილი და ამბიციაც, რომ თეატრალურ ხელოვნებაშიც გამოსცადოს თავისი შესაძლებლობები.

წინ მთელი ცხოვრებაა უამრავი მიზნით და ოცნებით.

გარი ჩაფიძისთვის არ არსებობს პატარა და დიდი საქმის ცნება, იგი ყველაფერს უდიდესი გატაცებით აკეთებს. მისი მრავალწლიანი ფიქრის ნაყოფია რუსთავის აკადემიური ქალაქიც, რომელიც მის უახლოეს თანამოაზრეებსაც კი წლების წინათ პროჟექტი ეგონათ.

ასე კი ეგონათ, მაგრამ რეალობა სხვაა: რუსთავის ერთ-ერთი ნაგავსაყრელის (54 სატვირთო მანქანით გაიტანეს ნაგავი) გაწმენდისა და გასუფთავების შემდეგ იქ მინი აკადემიური ქალაქი წამოიმართა, სადაც ყველაფერი გამიზნულია ახალგაზრდა თაობისთვის. აქ, ასეა ჩაფიქრებული, საბავშვო ბაღიდან დაწყებული უმაღლესის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის ჩათვლით, ყველა საფეხურის გავლას შეძლებს მსურველი.

შენობები აშენდა, კიდევ შენდება, მოეწყო და გალამაზდა ტერიტორია, პირველი კურსდამთავრებულები სულ ჩქარა მიიღებენ სამენოვან სერტიფიკატს — ქართულ, უკრაინულ და ინგლისურენოვანს.

სასწავლო საგანმანათლებლო სისტემის სიახლეს ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელებიც უჭერენ მხარს, გარი ჩაფიძე უკრაინის საერთაშორისო რეგიონული აკადემიის ქალაქ რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორია. მან სულ ახლახან გამოსცა პირველი უკრაინულ-ქართული ლექსიკონი.

**მეცნიერი, რექტორი სცენაზე და სპექტაკლის მთავარ როლში!**

**და ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდული მსოფლმხედველობა და გატაცებები თავის საკუთრებადაც აქციოს, იცხოვროს იმათი ინტერესებით, ვისთვისაც ქმნის და აშენებს, გაითავისოს ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რაც უნდა დაიძლიოს თაობათა კავშირით. და ყველაზე მთავარი — სასწავლებელში მოსულ ახალგაზრდებს შეაყვაროს ეროვნული ღირებულებანი.**

**ლია მარტაშვილი.**



**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან „კინტო და ბუტიაობა". მთავარ როლში გარი ჩაფიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

განსჯა

# რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

ბებო თამარს ამ „უკანასკნელი მოჰიკანებით“ დასახლებული „კუნძულის“ გარდა, გააჩნდა საკუთარი უახლოესი ურთიერთობების წრე: მარუსია შარაშიძე, თამარ ჭავჭავაძე, რუსია (რუსუდან) მიქელაძე — „რენესანსის ნატეხი“, როგორც მას მოსიყვარულედ ეძახდნენ. ამ სამ ქალზე საგანგებოდ მინდა გიამბოთ.

მარუსია შარაშიძე დებ ვაჩნაძეებს — სოფიოსა და თამარს, სმოლნის ხანიდან იცნობდა. სოფიოს, ჩემი ბებიის, გარდაცვალების წლისთავზე მან დედაჩემს სქელტანიანი რვეული აჩუქა. ეს იყო სოფიოსადმი მიძღვნილი დღიური, წერილი-მიმართვა. მასში სიხარულით და მწუხარებით, დანაკლისებით და მოპოვებებით, შეხვედრებით და დაშორებებით სავსე მთელი მათი ცხოვრება იყო. ჩემთვის ეს „აღსარება-დღიური“ საოცარი აღმოჩენა გახლდათ — მივხვდი, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება, რა უბრალოდაც არ უნდა მოგვეჩვენოს, განუმეორებელია მისი უჩვეულობით, შინაგანი სამყაროს სიმდიდრით — გავოცდი მათი მეგობრობის უმაღლესი ხარისხით, რომელიც ამ ორმა ქალმა შეინარჩუნა და გაიტანა ცხოვრების ბოლომდე, მიუხედავად სიდუხჭირისა და მრავალი წლით განშორებებისა.

კარგად მახსოვს როგორ მოდიოდა ჩვენთან თამარ ჭავჭავაძე. ნელა, ქოშინით ამოდიოდა კიბეზე და მერე რამდენიმე წუთს სულს ითქვამდა. ეს ნიშნავდა, რომ მან ჩამოიშორა ყოველივე გარეგნულ-ოფიციალური და წარმოგვიდგა არა როგორც ცნობილი მსახიობი, არამედ როგორც მეგობართან უმნიშვნელო რაღაცებზე მოსაუბრე ხნოვანი თავადის ქალი.

დეიდა რუსია (რუსუდან) მიქელაძე მეტად კოლორიტული პიროვნება გახლდათ, რომლის უშუალობის წინაშე ყველანი პასიურობდნენ, ხელისუფალნიც კი. „Майка, — შეეძლო დედაჩემისთვის მიემართა, „пожалуйста, пересядь вот сюда — эта чашка тебе очень идёт“. დეიდა რუსია თეატრალური ბიბლიოთეკის გამგე იყო — ერთ-ერთი იმ ადგილთაგანის, რომელსაც თავის დროზე შეეხიზნენ, ასე ვთქვათ, „ყოფილნი“, „ხალხის მტრის“ ოჯახების წევრები.

ახალგაზრდობაში მას მოუწია ახლოს ენახა ლენინი — მან იკისრა ცნობილი პარტიული ყრილობის სტენოგრაფისტობა და ერთხელ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში მას სთხოვეს მოეყოლა ამის შესახებ. მანაც გაიხსენა. ჟღერდა ეს დაახლოებით ასე: „О боже, как сейчас помню! Какие люди выступали – красавцы, умницы... Каки Церетели!? Прелесть какой оратор – чудо, просто чудо! Выступает Каки – умница, красавец! И другие выступают – все люди интеллигентные, достойные, благородные... Вдруг, выскакивает какой-то маленкий, картавый, рыжий и кричит: „Есть такая партия!“ Возмутительно! Хулиган!..“ მას შემდეგ ქალბატონი რუსია ცკ-ში აღარასდროს მიუწვევიათ.

* * *

მახსოვს, როგორ ჩნდებოდა დიდი, ჩაწოლილი ხევიდან განიერი „ვარაზის ხევი“. მახსოვს როგორ აფეთქებდნენ კლდეს, რათა გაეყვანათ გზა ვაკიდან საბურთალოზე. მაშინ ვერაზე არ იდგა სასტუმრო „საქართველო“ და ფილარმონიაც არ არსებობდა. ჩემი ბავშვობის თბილისი, პატარა, პატრიარქალური, ძალიან მყუდრო ქალაქი იყო. ნელა, წკარუნით და ჭრიალით მიფოფხავდა ტრამვაი „ცირკის“ (ახლანდელი გმირთა) მოედნიდან ვერაზე, შემოუხვევდა დიდ „სვანურ სახლს“ (დაახლოებით იქ, სადაც ახლა ფილარმონიაა), მოუმატებდა სიჩქარეს და გაქანდებოდა ვაკისკენ. მისი მარშრუტი მთავრდებოდა „სტუდენტურ ქალაქთან“, სადაც ის წრეზე შემოტრიალდებოდა და უკან ბრუნდებოდა. გავიმეორებ, ქალაქი მეტად მყუდრო და მიმზიდველი იყო. ადამიანებს ასაფლავებდნენ აუჩქარებლად, ორკესტრის თანხლებით, გამვლელი მამაკაცები წუთით ჩერდებოდნენ და ქუდებს იხდიდნენ. რუსთაველის გამზირი თბილისელების „საერთო კლუბი“ იყო. საღამოსთვის, როდესაც სიცხე ოდნავ დაცხრებოდა, იქ ნებისმიერი ნაცნობის ნახვა შეიძლებოდა — სეირნობდნენ, პაემნებს ნიშნავდნენ, საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ — ადგილი ყველასთვის საკმარისი იყო. ყველა უბანში იყო ერთი ან რამდენიმე ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი — იმდროინდელ ქალაქურად „ბირჟა“. რუსთაველზე ყველაზე ცნობილი ასეთი ადგილი იყო „ლაღიძის წყლებთან“. აქაც არავინ არავის უშლიდა ხელს. უფროსები დასეირნობდნენ ... — მეცნიერები, ხელოვანები, ქალაქელები... შეხვედრები, მეტწილად, შემთხვევითი იყო და სწორედ ამაში იყო მთელი ეშხი. ვეჭვობ, რომ ეს დრო ოდესმე დაბრუნდეს.



* * *

**ვახტანგ ბერიძე**: რვა წლისა ვარ. დავდივარ მხარეთმცოდნეობის წრეში ირინა მიქელაძესთან (ეს ადამიანი ცალკე, განსაკუთრებულ მოგონებას იმსახურებს — იმედი მაქვს, გამომივა). რატომღაც ერთხელ მეტად თამამად ლურჯ მონასტერზე ვიკისრე მოხსენებისმაგვარი რამ დამეწერა. მივიკითხ-მოვიკითხე, მივაგენი ვახტანგ ბერიძის სახლს და მივედი... წარმოიდგინეთ — კარებზე რეკავს სრულიად უცნობი ბავშვი, ამბობს რომ „მეცნიერულ“ ნაშრომს ამზადებს და ითხოვს კონსულტაციას... ბატონმა ვახტანგმა არ დააყოვნა, ყველა საქმე გადასდო და ჩემთან ერთად ლურჯი მონასტრისკენ გაეშურა! ორი საათი დავყავით მონასტერთან — ყველაფერი ჩავიწერე და მხოლოდ ამის შემდეგომ ბატონმა ვახტანგმა გაიგო, რომ თურმე მე მისი კარგი ნაცნობ-მეგობრების შვილი ვიყავი... ასეთი იყო იმ დროის ინტელიგენცია. დღეს კი?..

* * *

მშობლები სტუმრად მიდიან და მეც მივყავარ — ვერავისთან მტოვებენ, თან მეც მინდა მათთან ყოფნა. აგერ შეგვხვდნენ ვახტაგ კუპრავა, ოთარ ლითანიშვილი და გურამ პატარაია. კუპრავა მაღალია და მუდამ აუღელვებელი, ლითანიშვილი ხუმარაა და ენამახვილი. პატარაიას ნახვა ყველაზე უფრო მახარებს, როგორც შეიძლება ნებისმიერ ბავშვს გაუხარდეს იმის ნახვა, ვინც მას მუდამ ანებივრებს. შორიდან ხელს გვიქნევს თემიკო ჩირგაძე, უნაკლო თამადა და ქალაქში ცნობილი ენამახვილი კაცი... თუმცა, ენამახვილობაში ნიაზ დიასამიძეს ნამდვილად ბადალი არ ჰყავდა — ის პირველი იყო. თემიკოს გვერდს უმშვენებს ბატონი გიგა ლორთქიფანიძე — ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარი უხსოვარი დროიდან. რამდენიმე წუთს ჩემები ბიჭიკო ბარნაბიშვილთან მუსაიფობენ — მშვენიერ ვიოლონჩელისტთან და პოკერის „აკადემიკოსთან“. ორმოცდაათ ნაბიჯში შემოგვიერთდნენ გურამ ასათიანი და გია ბადრიძე, რომელსაც, ვფიქრობ, არასდროს ჰყოლია არაკეთილმოსურნე — და აი, ჩვენ უკვე ექვსნი ვართ...

აგერ, ოპერის პირდაპირ, ვახუშტი კოტეტიშვილი გოგი გეგეჭკორს რაღაცას უმტკიცებს. დაუვიწყარი ვახუშტი — ადამიანი, რომელიც გამოასხივებდა ნიჭს და მომხიბვლელობას. დიდი ნაბიჯებით ჩაგვიქროლა და სალამი შემოგვძახა ლეილა გორდელაძემ, შორიდან მოგვესალმა ელიჩკა ახვლედიანი და გაეშურა მისკენ მიმავალი წყვილისკენ — ირაკლი ბერიძისკენ და რიმასკენ — მთელი თბილისისთვის ინტელიგენტობის მაგალითთან. მათთან შეხვედრა ხვალ შედგება... დღეს კი, კეთილი ღიმილით, კარი გაგვიღო რეზო ებრალიძემ — სიკეთისა და კაცთმოყვარეობის განსახიერებამ. იქ კი უკვე გველოდებიან ხიტა ქუთათელაძე, ჟორა ასათიანი და ციალა ამაშუკელი განუყრელი გიტარით ხელში...

აჯობებს არ განვაგრძო — დაიწყებ კაცი მოგონებას და ხვდები — ვინც ამ ადამიანებს არ იცნობდა, ნამდვილად ცოდვაა.

აკი წეღანაც ვთქვი, აზრი არ აქვს გახსენებებს-მეთქი... მაინც არ მშორდება მოგონებები დოდო აბაშიძეზე, დოდო ალექსიძეზე, გურამ საღარაძეზე, კუწია (სიმონ) ხეჩინაშვილზე, გიორგი წერეთელზე, თიკო (თინათინ) წერეთელზე და მის მეუღლე ვოლია (ვლადიმერ) მაყაშვილზე, კოწია ერისთავზე და მის შვილიშვილ დალი გორდეზიანზე, ლადო მესხიშვილზე და ლანა ღოღობერიძეზე, პაპუნა წერეთელზე, გურამ ქავთარაძეზე (ქავთარაზე) და მის მშობლებზე — თამარ ბუკიასა და ირაკლი ქავთარაძეზე, გოგლა ლეონიძეზე და კოლაუ ნადირაძეზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე და სესილია თაყაიშვილზე...

არა, ზოგიერთზე მაინც მოვყვები.

**აკაკი ხორავას** მეუღლე ჩვენი ახლო ნათესავი იყო. ამიტომაც ურთიერთობაც ნათესაურ-შინაური იყო და მისი სიზვიადე სადღაც მისი ბინის კარს მიღმა, გარე სამყაროში რჩებოდა. მუდამ მაკვირვებდა კოლორიტით: ბრგე, მქუხარე ხმით და, ამავე დროს, გასაოცრად კეთილი და გულისხმიერი დამოკიდებულებით სუსტი, სნეული მეუღლის მიმართ. სახალხო არტისტი, ორდენოსანი — ის ცოცხალი ლეგენდა იყო და განუყოფლად, ავტორიტარულად განაგებდა თეატრს. ბევრი ადანაშაულებდა მას თვითნებობასა და ტირანიაში, მაგრამ ამავე დროს მოკრძალებით და რიდით შესქეროდნენ ამ ბუმბერაზ, თითქოს გრანიტიდან გამოთლილ კაცს.

36-ში ბებია და ბაბუა დააპატიმრეს, 11 წლის დედაჩემი თბილისში დეიდასთან გადაიხვეწა. აკაკიმ ოქროყანაში აგარაკი იქირავა და პოლიტპატიმრების ოჯახებიდან ათამდე ბავშვი დაასახლა, რომლებსაც ამავე ოჯახებიდან გადარჩენილი რამდენიმე ქალი უვლიდა. ხორავამ ეს საქმე დაუფარავად, ღიად, თითქმის დემონსტრაციულად გააკეთა. საზოგადოებას კიდევ უფრო მეტად შიშის ზარს სცემდა აკაკის წესი: კვირაობით ოქროყანაში სანოვაგით ასვლა და მერე, მთელი ქალაქის დასანახავად, მისი დიდი ღია ავტომობილით ბავშვების მუშტაიდში გასეირნება. იმ დროს ასეთ რამეს გმირობას ვერ დაარქმევდა კაცი — შეშლილი თვითმკვლელის ქცევას უფრო წააგავდა.

**ნიკო ყიასაშვილი**. უმუშევარი, მშიერ-მწყურვალი და დაჭერის მომლოდინე დისიდენტი ლევ კოპელევი მოსკოვიდან ნიკო ყიასაშვილმა ჩამოიყვანა. შექსპიროლოგიის კათედრაზე ლექციების ციკლის წაკითხვა შესთავაზა (რასაკვირველია, სათანადო ანაზღაურებით).

ბატონი კოპელევი ჩვენთან დასახლდა. დღისით ლექციებს კითხულობდა და თბილისის ქუჩებში თავისუფლებით ტკბებოდა. ღამეებს კი ბაბუაჩემთან (სერგო ქავთარაძე — **რედ.**) საუბარში ატარებდა — რევოლუციურ მოგონებებს ისმენდა. ბაბუას რომ სცოდნოდა წინ ვინ ეჯდა, იარაღს დაახლიდა... მშობლებს ეს ერთდროულად აშინებდა და ართობდა. კოპელევის წყალობით მეც დისიდენტურად „გავნათლდი“ — მისგან ნათხოვარი ავტორხანოვის ორტომეული „პარტოკრატიის ისტორია“ სამ ღამეში „გადავყლაპე“... მოგვიანებით მივხვდი ნიკო ყიასაშვილის გამბედაობის ფასს — იმ დროს დისიდენტისთვის ასეთი დახმარების გაწევა გმირობის ტოლფასი იყო.

* * *

წარსულის გახსენებისას მთავარია ადამიანთა ცოცხალი სახეები, მათი შინაგანი სამყარო და, კიდევ შეურყევადი მრწამსი. ისინი ხომ ქალაქის ნამდვილ სახეს წარმოადგენდნენ, მის მატიანეს ქმნიდნენ. რასაკვირველია, ის ცხოვრება აღარ დაბრუნდება და ამას არც ვნანობ — ყველაფერი ევოლუციურად ვითარდება... მაგრამ, უკვალოდ გაქრობაც ანომალიაა — წარსული, აწმყო და მომავალი ადამიანური თვისებებით მუდამ არიან ურთიერთკავშირში. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში თაობათა დამაკავშირებელი უხილავი ძაფი ხან სავსებით ქმედითი და რეალურია, ხან კი თითქმის შეუმჩნეველი, ახლა სწორედ ასეთი პერიოდია — საზოგადოება მოდუნებულია, თევზივით აფჩენს პირს მდარე სანახაობის, ან ფუჭი ინფორმაციის მოსანელებლად — ფსევდოინტელიგენციის, ფსევდოინტელექტუალების, სხვა მედროვე „ფსევდოების“ ხანა დაგვიდგა: პირდაფჩენილი საზოგადოება შესცქერის და უსმენს ვულგარულ ინგა გრიგოლიას, მოლაყბე დავით აქუბარდიას, მატრაკვეცა ნოდარ ლადარიას ან სულაც ვილაც დოდოშკებს...

**მალხაზ ჟვანია**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 110

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციები საქართველოში პოლიციის ძალადობას გმობენ

**უფლებადაცვითი ორგანიზაციები: ფონდი „ადამიანთა უფლებების სახლი“ (HRHFძ, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDHძ, „მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ“ (OMCTძ, „ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი“ (NHCძ გმობენ თბილისში 2011 წლის 26 მაისის ღამეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებით გამოყენებას. გთავაზობთ ამ ორგანიზაციების ერთობლივ წერილს.**

**საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს;**

**ასლი: შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს.**

უფლებადაცვითი ორგანიზაციები: ფონდი „ადამიანთა უფლებების დაცვის სახლი“ (HRHFძ, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDHძ, „მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ“ (OMCTძ, „ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი“ (NHCძ გმობენ თბილისში, 2011 წლის 26 მაისის ღამეს მშვიდობიანი, ანტისამთავრობო გამოსვლის მონაწილეთა წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებით გამოყენებას.

ჩვენი ორგანიზაციები შეშფოთებული არიან იმით, რომ ეს შემთხვევა არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ სცემენ საკმარისად პატივს ქართველი ხელისუფალნი მშვიდობიანი შეკრებების უფლებას. მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც 2011 წლის 3 იანვარსა და 25 მარტს ჩატარდა, ასევე ძალადობრივად დაშალა პოლიციამ.

ხელმომწერმა ორგანიზაციებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღეს დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალადობრივ დაშლას. ეს დოკუმენტები იმის ილუსტრაციაა, რომ საქართველო პატივს არ სცემს არც თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, არც კონსტიტუციის მოთხოვნას მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

2009 წლის ივლისში საქართველოს კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებიც ზღუდავს ოფიციალური შენობების წინ შეკრებების გამართვის უფლებას და აწესებს უფრო რთულ პროცედურებს ნებართვის მისაღებად. მას შემდეგ რამდენიმე შემთხვევამ დაადასტურა ამ ჩასწორებათა ნეგატიური ზემოქმედება შეკრებების თავისუფლებაზე.

სულ ახლახან, 2011 წლის 25 და 26 მაისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ შეკრებილი ოპოზიციის ასობით მხარდამჭერი ძალადობრივად დაშალეს მას შემდეგ, რაც მათთვის მიცემული ნებართვის ვადა ამოიწურა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაშავებულია 8 პოლიციელი, ერთი ჟურნალისტი და 27 მოქალაქე, ხოლო დაპატიმრებულია 105 ადამიანი.

მაგრამ, თანახმად უფლებადაცვითი ორგანიზაციისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც ახორციელებს „ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტს „შეკრებათა თავისუფლების მონიტორინგი“, დაშავებულია 17 ჟურნალისტი და რამდენიმე დაპატიმრებულია. ომბუდსმენის ქართულმა ოფისმა განაცხადა, რომ 152 ადამიანია დაპატიმრებული და „პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა (...ძ, სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომლებმა ჟურნალისტებს დაუზიანეს აღჭურვილობა და მათ სიტყვიერად და ფიზიკურად ესხმოდნენ თავს.“ უფრო მეტიც, დაპატიმრებულთაგან ზოგიერთს სცემეს ციხეებში და მათ არ აძლევდნენ ნათესავებთან და ადვოკატებთან დაკავშირების საშუალებას. ბევრი მათგანი რამდენჯერმე გადაიყვანეს სხვადასხვა საპატიმროში ისე, რომ არ აცნობეს ოჯახებსა და ადვოკატებს, რაც იწვევდა შეშფოთებას მათი უსაფრთხოების გამო. ქართული უფლებადაცვითი ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ცნობით, ათობით დემონსტრანტი ჯერ კიდევ დაკარგულია.



ჩვენი ორგანიზაციები ღრმად არიან შეშფოთებული აღნიშნული მოვლენების გამო და საქართველოს მოუწოდებენ დაუყოვნებლივ გაამხილოს იმ დაკავებულთა ადგილსამყოფელი, რომლებიც დღემდე დაკარგულები არიან და სრულად შეასრულოს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPTძ მიერ, 2010 წლის თებერვლის ვიზიტის შემდეგ, ჩამოყალიბებული რეკომენდაცია. CPT-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას უზრუნველყოს ის, რომ ადვოკატთან დაკავშირების უფლება ნამდვილად მიეცემა ყველა დაკავებულს და ყველა მათგანს გარანტირებული ექნება დამოუკიდებელი ექიმის კონსულტაციის მიღების უფლება.

ეს ინციდენტები ცხადყოფს იმას, რომ საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს წევრი, არ ასრულებს საერთაშორისო საზოგადოებისა და ასევე ქვეყანაში არსებულ მოვალეობებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მას ნაკისრი აქვს ვალდებულება დაიცვას და გაავრცელოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანებების უფლება, რაც დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ECHRძ მე-10 და მე-11 მუხლებით. იგივე უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი.

შეშფოთებულები ვართ სიტუაციით და მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

- უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია ECHR და საქართველოს კონსტიტუციით;
- უშიშროების ძალებისთვის გამოსცეს ცხადი ინსტრუქციები, რათა შეიზღუდოს დემონსტრანტთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, მათ შორის ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საბაზისო პრინციპებისა და სამართალდაცვის ძალების თანამშრომელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად;
- დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული და დაპატიმრებული მშვიდობიანი დემონსტრანტები და 2011 წლის 26 მაისს მშვიდობიან შეკრებაში მონაწილე პირების წინააღმდეგ გააუქმოს ყველა სახის ადმინისტრაციული ბრალდება და ჯარიმა;
- დაუყოვნებლივ დაიწყოს ამომწურავი და მიუკერძოებელი გამოძიება ძალის გადამეტებით გამოყენების, საპატიმროებში დემონსტრანტთა მიმართ ცუდი მოპყრობის გამო და ამ ძალადობაში დამნაშავეები გადასცეს სასამართლოს;
- ყველა დაზარალებული უზრუნველყოს კომპენსაციით, რეპარაციითა და რეაბილიტაციით. ECHR-ის მე-5 პარაგრაფის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია გადაუხადოს კომპენსაცია ყველა უსაფუძვლოდ დაპატიმრებულს და დაკავებულს;
- მიიღოს ეფექტური ზომები, რათა უზრუნველყოს რეპრესიების აღკვეთა: ყველა დაპატიმრებული სწრაფად წარსდგეს სასამართლოს წინაშე, დაპატიმრებისთანავე შეეძლოს დაკავშირება მის მიერ შერჩეულ ადვოკატთან, დამოუკიდებელ ექიმთან და ჰქონდეს ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება. ნებისმიერ დაკავებულს უფლება უნდა ჰქონდეს მესამე მხარეს მიაწოდოს დაკავების შესახებ ინფორმაცია;
- კანონში შეიტანოს შესწორებები შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ ისე, რომ კანონი შესაბამისობაში მოვიდეს ქვეყნის საერთაშორისო უფლებადაცვით ვალდებულებებთან.

HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION

# მომავლის მონახაზი არასტაბილურ დროში

**საქართველო გარდამავალ პერიოდში შედის მისი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით 2012-2013 წლებში, რის შემდეგაც ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. დღევანდელმა მთავრობამ სახელმწიფოს მშენებლობაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, რომელიც მოქალაქეებს მომსახურებას სთავაზობს, თუმცა საქართველოს ეკომომიკური სურათი კვლავ ძალიან არადამაჯერებელია.**

მმართველ ელიტას, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, არ ჰყავს სერიოზული შიდაპოლიტიკური ოპოზიცია, თუმცა ის ისეთი გამოწვევის წინაშე დგას, რომ საკუთარი თავი ხელახლა უნდა გამოიგონოს. ის ანგარიშვალდებულების დეფიციტს განიცდის და საქართველოს ერთპარტიულ სახელმწიფოდ გადაქცევის საფრთხეს უქმნის.

წლების განმავლობაში არაფორმალური და იმპროვიზებული გზით მართვის შემდეგ, საქართველოს მთავრობას სჭირდება ინსტიტუტების აშენება და გრძელვადიანი განვითარების მოდელის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება. სამი იდეა საქართველოს განსხვავებული მიმართულებით ექაჩება. ერთი – კონსერვატიული ტრადიციული კონცეფციაა „ძველი საქართველოს“ შესახებ, რომელიც პატივსაცემია, თუმცა მას, როგორც ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მოდელს, მცირე პოტენციალი აქვს. მეორე იდეას, რომელიც საქართველოს მეორე „სინგაპურად“ მოიაზრებს, გახსნილს მსოფლიო ინვესტიციებისთვის, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, განსაკუთრებით ჯერ კიდევ გავლენიან ლიბერტარიანულ ჯგუფში, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს მაქსიმალური დერეგულაცია ესაჭიროება, თუმცა დღევანდელ დღეს საქართველოში უცხოური ინვესტიციების ვარდნაა და ეს მოდელი ვერ გადაწყვეტს ისეთ ღრმა პრობლემებს, როგორიცაა რეგიონებში სიღატაკე და უმუშევრობის მაღალი დონე.

ევროკავშირი მესამე გზას სთავაზობს, სავარაუდო ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი ვაჭრობის სფეროს, რომელიც ინსტიტუციონალური რეფორმების სანაცვლოდ ქვეყნისთვის ევროკავშირის ერთიან ბაზარს პრივილეგირებულად ხელმისაწვდომს გახდიდა. ეს გზა მმართველი ელიტისგან მოითხოვს უარის თქმას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ძალაუფლებაზე. ევროკავშირმა ეს იდეა არასაკმარისად „გაყიდა“ და ის მეტ უცხოურ ტექნიკურ დამხარებას მოითხოვს იმ მარეგულირებელი ტვირთის შესამსუბუქებლად, რომელსაც ის ქვეყანას დააკისრებს, მაგრამ ეს გზა საქართველოს გრძელვადიან განვითარებაზე იმედისმომცემ პერსპექტივას და ევროპაში დამკვიდრების შესაძლებლობას სთავაზობს.

CARNEGIE ENDOWMENT

## დედამიწის ზურგზე



**აშშ სპარსეთის ყურეში საიდუმლო ბაზას აშენებს**

იგეგმება, რომ უპილოტო თვითმფრინავები, რომლებსაც განალაგებენ ახალ ავიაბაზაზე, ამოქმედდება ოპერაციებში „ალქაიდას“ ბოევიკების წინააღმდეგ იემენში, აგრეთვე რეგიონის სხვა ქვეყნებში, თუ ეს საჭირო იქნება.

* * *

**იაპონიის ცუნამით დაზარალებული რაიონების სანაპიროზე იპოვეს 12 მილიონზე მეტი დოლარი**



ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი საოჯახო სეიფებში იყო. ამან გააადვილა მფლობელთა მოძიებაც. ხშირად სეიფებში ერთდროულად ინახებოდა დოკუმენტები უძრავი ქონების ფლობის უფლებაზე. ამ მომენტისთვის დადგინდა ნაღდი ფულის პატრონთა 85 პროცენტზე მეტი.

* * *

**აფეთქება ლუიზიანაში ქიმიურ ქარხანაში: დაშავდა 4 კაცი**



ყველა დაშავებული გადაყვანილია ადგილობრივი საავადმყოფოს დამწვრობის განყოფილებაში. საგანგებო შემთხვევა მოხდა ახალი ორლეანიდან 100 კილომეტრში. როგორც აღნიშნავენ, აფეთქების მიზეზი უცნობი რჩება.

* * *

**უწესრიგობანი და აფეთქებები ტაჯიკეთში – ამბოხდნენ „რავშანის“ ფანატები**

მსაჯობით უკმაყოფილო ფეხბურთის გულშემატკივრებმა დაიწყეს მსაჯების მისამართით ქვების სროლა, შემდეგ კი – მანქანების მინების მსხვრევა. მილიციამ გამოიყენა სპეციალური საშუალებები, მათ შორის ასაფეთქებელი პაკეტები და წყალმფრქვევები. ქვეყნის პრეზიდენტის შვილი რუსტამი ემომალი იყო სტადიონზე, მაგრამ არ დაზარალებულა. დაკავებულია 20 კაცი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ოტია იოსელიანს

# კვლავაც, კვლავაც შეგვანჯღრიე, მნათევ — სახემკაცრო!



სამწუხაროდ, მთლად ვერ გამოკეთდა ოტია იოსელიანი, მოატარეს ევროპა გამოჩენილ ქართველ მწერალს, რომ იტყვიან, თან გადაჰყვნენ, მაგრამ, ჩვენ რომ გვინდა, ისეთ „ფორმაში“ მაინც ვერ არის. ვრეკავ წყალტუბოში, დაბადების 81-ე წლისთავს ვულოცავ. გიჟდება, რა მაქვს კაცო, მოსალოციო, ჩემს ჯანმრთელობას ვინ ჩივა, ქვეყანა დაგვემხო თავზეო...

— მაინც მომავლის იმედით უნდა ვიყოთ, ბატონო ოტია...

— ბიჭო, გადამრევ მე შენ!.. სად ცხოვრობ თუ ძმა ხარ?! დოუხნავი და დოუთესავია ირგვლივ ყველაფერი!.. ახლა ყანაში უნდა გადიოდეს ქართველი კაცი!.. რას მიედ-მოედებით თქვენ!..

აღარ ღირს საუბრის გაგრძელება, იმედი არ დაკარგოთ-მეთქი, ვეუბნები და სასწრაფოდ ვთიშავ ტელეფონს, სანამ მოურიდებლად შემიკურთხებდეს. ვიცი, (ვინ არ იცისძ მისი ხასიათი, ვიცი მისი მამულიშვილობა, ჭირისუფლობა, დიახაც ვამაყობ ჩემი სახელგანთქმული წყალტუბოელი მეზობლით, ვულოცავ დაბადების დღეს...

**ვილენ მარდალეიშვილი**

## როგორ გვემსახურებიან?

# მგზავრთა ტანჯვა-წამება ზუგდიდის რკინიგზის სადგურში

ზუგდიდის რკინიგზის სადგურიდან თბილისისა და ქუთაისის მიმართულებით ყოველდღიურად სამი მატარებელი გადის. სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის მოსახლეობა ძირითადად ამ ტრანსპორტით სარგებლობს, ამიტომაც ზუგდიდის რკინიგზის სადგურში მგზავრთა დიდი ნაკადი იყრის თავს. მგზავრებს ადრე ორი სალარო და ოთხი მოლარე ემსახურებოდა. რამდენიმე თვის წინათ ერთი მოლარე გათხოვდა, რასაც მისი სამსახურიდან გათავისუფლება და შტატის შემცირება მოჰყვა, ხოლო ორ მოლარეს არაკეთილსინდისიერი მუშაობის გამო ხელშეკრულება შეუწყვიტეს. ზუგდიდის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ერთი მოლარის ამარად დარჩენილ სადგურში ინგირის რკინიგზის სადგურიდან მოეწვია ერთი მოლარე. ამჟამად ზუგდიდის რკინიგზის სადგურს ერთი სალარო და ორი მოლარე ემსახურება. სალარო იხსნება დილის 7.00 საათზე და იხურება 23.00 სთ. აქედან გამომდინარე შესვენებაც ძალიან დიდია 12.00 სთ-დან 15.30 სთ-მდე. ერთი სალარო მოზღვავებულ მგზავრთა ნაკადს ვერ აუდის, ხანგრძლივად რიგში ყოფნა მგზავრთა აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევს, ამიტომაც ისინი კატეგორიულად ითხოვენ საქართველოს რკინიგზისაგან დამატებით ერთი სალაროს გახსნას, რომელსაც კვლავინდებურად ორი მოლარე უნდა მოემსახუროს.

საქართველოს რკინიგზამ კიდევ ერთი „სიურპრიზი“ მოუმზადა ზუგდიდის რკინიგზის სადგურს. თუ ადრე დღე-ღამის განმავლობაში სადგურს რამდენიმე დაცვის თანამშრომელი იცავდა და წესრიგიც იყო, რამდენიმე თვის წინათ დაცვის თანამშრომლები დაითხოვეს და სადგური მიუერთეს ცენტრალურ სიგნალიზაციას. ღამის საათებში სადგურში ვერც ერთ ფორმიან თანამშრომელს ვერ შეხვდებით. სადგურის ხელმძღვანელობა ვერ ენდობა სიგნალიზაციას, ამიტომაც თანამშრომლებს მორიგეობით უწევთ ღამის თევა სადგურში.

ზუგდიდის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსის კობა ლაგვილავას განმარტებით კი მას მისი ზემდგომის ნებართვის გარეშე, ინფორმაციის გაცემისა და კომენტარის გაკეთების უფლება არა აქვს.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი.

## ინფორმაცია

### გამომძალველთა დაკავება

**კონსტიტუციური** უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დაკავებულია თბილისში მოქმედი ქურდული ტრადიციების მატარებელი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: დიმიტრი და ბადრი ჯანელიძეები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ დაკავებულები მოქალაქე ირაკლი ჩხაიძეს დაშინებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით და ქურდული გარჩევის გზით სისტემატურად სძალავდნენ თანხას. ისინი დაკავებულები იქნენ მორიგი 10 000 დოლარის გამოძალვის ფაქტზე.

დანაშაული ითვალისწინებს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

ჯი-ეიჩ-ენი

## „არაჩვეულებრივი გამოფენა“

# ზღვა, რომელიც არასდროს უნახავს...

**ქართველ მხატვართა 80-იანელთა თაობა წარმატებით განაგრძობს მხატვარ მიშა იაშვილის თაოსნობით წამოწყებულ პროექტს „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომლის შესახებ ჩვენს გაზეთს არაერთხელ დაუწერია. ამ ცოტა ხნის წინათ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ძირძველ კუთხეს, სამცხე-ჯავახეთს ეწვია, სადაც ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტის, მეუფე ნიკოლოზის დიდი მხარდაჭერით ახალქალაქის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე 50 მხატვრის ვერნისაჟი გაიმართა.**

— დედათა მონასტრის ტერიტორიაზე გამოფენისთვის ფართი საგანგებოდ მოამზადეს, — ამბობს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე მიშა იაშვილი. — გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო, უკლებლივ ყველა ადგილობრივი მხატვარი მოვიდა, რომლებსაც, ბუნებრივია, მალევე დავუმეგობრდით. ურთიერთობისას გამოიკვეთა ახალქალაქელ მხატვართა სურვილი, თავიანთი შემოქმედება დედაქალაქში ჩამოეტანათ, რასაც, ცხადია, სიხარულით დავთანხმდით, იმიტომ, რომ ეს ჩვენი პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

„არაჩვეულებრივ გამოფენაში“ დამკვიდრებული ტრადიციით, საქართველოს რომელ მხარეში გვნებავთ საგამოფენოდ ჩატანილი 80-იანელების ნამუშევრები ადგილობრივ სამხატვრო თუ სამხარეო მუზეუმებს საჩუქრად რჩებათ. ბუნებრივია, ასე იყო ახალქალაქშიც, სადაც ნაჩუქარი ფერწერული ტილოები, მიშა იაშვილის დიდი იმედით, მომავალში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ჩანასახად გადაიქცევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ ულამაზესი მხარის კულტურული ცხოვრებისთვის.

მას შემდეგ, რაც მხატვრების ჯგუფი ახალქალაქიდან თბილისში დაბრუნდა, სამცხე-ჯავახეთიდან პერსონალური გამოფენით „მოფრენილი პირველი მერცხალი“ **სერგო ხაჩატურიანი** გამოდგა, რომელმაც მიშა იაშვილის ხელშეწყობით საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში 30 თავისი ნამუშევარი წარუდგინა საზოგადოებას.



საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მხატვარი, რომელსაც სულიერ სიმშვიდეზე ერთობ თავისებური წარმოდგენა აქვს (მისი ტილოების პათოსია ხალხის მღელვარება, პიროვნული ტრაგედიაძ და დღემდე ზღვა თვალით არ უნახავს, მას თავის ტილოებზე ხშირად ხატავს. როგორც ჩანს, ზღვა მისთვის სულიერი სიმშვიდისა და ცხოვრების მშვენიერების სიმბოლოა.

— თავად იდეა, რომ რეგიონებიდან თითო-თითო მხატვარი მაინც ჩამოგვეყვანა თბილისში და მისთვის პერსონალური გამოფენა მოგვეწყო, დიდი ხანია მქონდა. საერთოდ, დიდად მოხარული ვარ, რომ მხატვართა კავშირში რეგიონების კურატორობა მაქვს დავალებული, სასიხარულოა ისიც, რომ ამ მხრივ პირველი მხატვარი სწორედ ძირძველი სამცხე-ჯავახეთიდან იყო, — განაგრძობს მიშა იაშვილი. — საქმე ის არის, რომ ჩვენს ნიჭს, უწინარესად, ჩვენვე უნდა მოვუაროთ, მისთვის ერთგვარი ტრამპლინის როლი შევასრულოთ. მერე კი ვინც სადაც და როგორც შეძლებს ფრთების გაშლას, უკვე სხვა საქმეა.

პროექტი „არაჩვეულებრივი გამოფენის“ უახლოესი გეგმებია 80-იანელების ვერნისაჟების აჭარაში (ბათუმშიძ და ხევსურეთში (შატილშიძ მოწყობა.

— მინდა გითხრათ, რომ აქამდე პროექტს ოფიციალური სპონსორი, როგორც ასეთი, არ ჰყოლია, — ამბობს მიშა იაშვილი. — ახლა კი, ღვთის მადლით, ასეთი „ბაზის ბანკის“ სახით მოგვევლინა, რომელიც პირველ ეტაპზე სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურებას გვპირდება, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი შეღავათია. მერე რა იქნება, ვნახოთ...

ამდენად, ზაფხულში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ბათუმის სტუმრობას აპირებს, შემოდგომაზე — შატილის. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ პროექტის მასპინძლობის დიდი სურვილი ხულოშიც გამოთქვეს და, როგორც მიშა იაშვილმა თქვა, ამ სურვილს 80-იანელები აუცილებლად შეუსრულებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## მოტივაცია — შემდგომი წარმატებისთვის

# 2011 წლის საუკეთესონი დაჯილდოვდნენ

**საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წლის საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებლები, დირეტორი, მანდატურები, კერძო და საჯარო სკოლები და ასევე საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელები დააჯილდოვა.**

საუკეთესო მოსწავლის სტატუსი თბილისის №122 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ **სანდრო სახვაძემ** მიიღო.

გამოვლინდა საუკეთესო მასწავლებელიც — აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური №32 სკოლის ქიმიის პედაგოგი ქალბატონი **ეთერ ელოშვილი,** ასევე პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსული, გერმანელი მოხალისე პედაგოგი **კეთრინ ბრემი.**

საუკეთესო სკოლის დირექტორად აღიარეს 157-ე საჯარო სკოლის დირექტორი **შორენა ბუნტური.**

საუკეთესოთა შორის იყვნენ მანდატურები — ქუთაისის №30 საჯარო სკოლიდან **ეკა ენუქიძე,** რუსთავის №10 საჯარო სკოლიდან **ივანე გოგინაშვილი,** გორის №3 საჯარო სკოლიდან **ზურაბ ლაღიძე** და საუკეთესო საჯარო სკოლა — **თბილისის №10 საჯარო სკოლა.**

საუკეთესოთა შორის დასახელდა **კერძო ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა „თბილისი“.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გამარჯვებულებს სპეციალურად დაწესებული ჯილდოები გადასცა და აღნიშნა, რომ ყოველთვის წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს, ასევე კერძო და საჯარო სკოლებს, რათა მათ ჰქონდეთ მოტივაცია, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიონ.

**ირინა ოზოლაშვილი**




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**დანაშაული და სასჯელი**

# ლმობიერების ტყვეობაში



უკვე გაუწყეთ, რომ ამასწინანდელ კარტოზია-ბალავაძის სახელობის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს ჩრდილი მიაყენა ქართველი ფალავნის გიორგი დათუნაშვილის ულირსმა საქციელმა, რომელმაც თურქ მეტოქესთან დამარცხებაში მსაჯი დაადანაშაულა და ისეთი ძალით უთავაზა მას მუშტი სახეში, რომ სისხლი ადინა.

ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ, გვეგონა, პრინციპული მსჯელობა გაიმართებოდა და უნებისყოფო მოჭიდავე უმკაცრესად დაისჯებოდა, მაგრამ...

როცა, ბევრის აზრით, ახალგაზრდა სპორტსმენი ხალიჩიდან სამუდამოდ მოკვეთას იმსახურებდა, „ზემდგომებმა" მას სამწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, რაც, ვფიქრობ, დათვურ სამსახურად უნდა შეფასდეს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და დათუნაშვილი ფსიქიკურად და გონებრივად გაწონასწორებული დაუბრუნდეს სარბიელს.

**გია პლატონიშვილი**

**კრივი**

# „ტორნადომ" კიევსაც გადაუარა

**კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBOძ ვერსიით მსოფლიოს უძლიერესმა საშუალოწონოსანმა ავთანდილ ხურციძემ („ტორნადო"ძ მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და საჩემპიონო ქამარი შეინარჩუნა.**



კიევის სპორტის სასახლის რინგზე გამართულ სატიტულო ბრძოლაში ჩვენს თანამემამულეს მეტოქეობას „მისტერ ნოკაუტად" წოდებული კოლუმბიელი დიონისიო მირანდა უწევდა, მაგრამ მან ქართველის იერიშებს მხოლოდ ორწუთნახევრის განმავლობაში გაუძლო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**რაგბი**

# ნიჭი ყველგან ფასობს



**შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში „ტულუზამ" ბოლო წუთებზე გატეხა არაერთი სენსაციის ავტორ „მონპელიეს" შეუპოვარი წინააღმდეგობა – 15:10.**

ამიტომ ლოგიკურია, რომ პოპულარულ ჟურნალ „ეკიპის" მიერ გამოვლენილი სეზონის ლაურეატთა უმეტესობა სწორედ ამ კლუბების წარმომადგენელია.

საამაყოა, რომ დამარცხებულთა ქართველი ლეგიონერი, „ჯვაროსანთა" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გორგოძე გამარჯვებულად ცნეს ნომინაციაში „საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელი მოთამაშე".

**დანარჩენ რჩეულთა ვინაობა ასეთია:** საუკეთესო მწვრთნელი – ფაბიელ გალტიე („მონპელიე"ძ, ტოპ – 14-ის საუკეთესო მორაგბე – უილიამ სერვა („ტულუზა"ძ, საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე – ჟან-მარკ დუსაინი („ტულუზა"ძ, საუკეთესო ლელოს ავტორი – ვინსენ დებატი („კლერმონი"ძ.

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

## პრემიერ-მინისტრიც ჩარიეს

**მას შემდეგ, რაც ფეხბურთში 2018 და 2022 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობა ინგლისმა ვერ მოიპოვა, იქაურმა მასმედიამ ტოტალური ლაშქრობა დაიწყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის – ფიფასა და მისი თავკაცის ზეპ ბლატერის წინააღმდეგ. ხმამაღლა ამბობდნენ, რომ ფიფაში კორუფციამ საფუძვლიანად გაიდგა ფეხი და რომ რუსეთმაც და ყატარმაც იყიდეს 2018 და 2022 წლების ფეხბურთის დიდი დათვალიერებანი.**



რასაკვირველია, ყოველივე ამას უკვალოდ არ ჩაუვლია და თავად ფიფაშიც დაიწყო დიდი გამოძიება კორუფციაში ჩაფლული ჩინოვნიკების მიმართ. ეს ბრძოლა გაგრძელდა მაშინაც, როდესაც წლევანდელ 1 ივნისს გაიმართა ფიფას პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. ჩვენც ამაზე ვწერდით და ალბათ თქვენთვისაც ცნობილია, რომ სწორედ არჩევნების წინ კორუფციაში ამხილეს ბლატერის ერთადერთი კონკურენტი – აზიური ფეხბურთის თავკაცი, ყატარელი მოჰამედ ბინ ჰამამი, რომელმაც სასწრაფოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ისე რომ, ფიფას პრეზიდენტად ბლატერი უკონკურენტოდ აირჩიეს.

ამ გარემოებამ უფრო გაალიზიანა ინგლისელები და დავაში ჩაერია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონიც. მისი აზრით, ფიფა ისე არასოდეს დამდაბლებულა, როგორც თავისი თავკაცის არჩევნების წინ.

როგორც კამერონს უთქვამს: „ფიფას რეპუტაცია ყველა დროსთან შედარებით ყველაზე დაბალ დონეზეა. არჩევნები ერთადერთი კანდიდატით ნამდვილად ფარსია. საჭიროა, ფიფა გახდეს უფრო სერიოზული და ქმედითუნარიანი ძალა ფეხბურთში. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მოინდომებს ამაში ყველაზე უშუალო მონაწილეობას".

## მაისის ევროპული ნაკრები

**ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESMძ კონტინენტის ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით შეადგინა მაისისა და მთელი სეზონის სიმბოლური ნაკრებები.**

**მაისის ნაკრებში შევიდნენ: ვან დერ სარი** („მანჩესტერ იუნაიტედი"– 3 ხმაძ, **დანიელ ალვეში** („ბარსელონა" – 4ძ, **ვიდიჩი** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 4ძ, **პიკე** („ბარსელონა" – 8ძ, **აბიდალი** („ბარსელონა" – 3ძ, **ხავი** („ბარსელონა" – 9ძ, **ინიესტა** („ბარსელონა" – 5ძ, **კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი" – 8ძ, **მესი** („ბარსელონა" – 9ძ, **ფალკაო** („პორტუ" – 6ძ, **რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 3ძ.

2010-2011 წლის სეზონის სიმბოლური ნაკრების **შემადგენლობა კი ასეთია: ვიქტორ ვალდესი** („ბარსელონა" – 16 ხმაძ, **დანიელ ალვეში** („ბარსელონა" – 29ძ, **ჰუმელსი** („ბორუსია" – 25ძ, **ვიდიჩი** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 35ძ, **პიკე** („ბარსელონა" – 24ძ, **ხავი** („ბარსელონა" – 41ძ, **ინიესტა** („ბარსელონა" – 24ძ, **ნური შახინი** („ბორუსია" – 20ძ, **მესი** („ბარსელონა" – 73ძ, **კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი" – 31ძ, **ეტო'ო** („ინტერი" – 22ძ.

**განისაზღვრა აგრეთვე სათადარიგო მოთამაშეებიც: ვან დერ სარი** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 15ძ, **ტიაგუ სილვა** („მილანი" – 14ძ, **მარსელუ** („რეალი" – 12ძ, **ბეილი** („ტოტენჰემი" – 17ძ, **ნასრი** („არსენალი" – 14ძ, **რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი"– 17ძ, **კავანი** („ნაპოლი" – 16ძ.

## რაც ფეხბურთელს არ შეეფერება

**სოფიის „ლევსკის" ყოფილი ფეხბურთელი ორლინ ორლინოვი ალბათ მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება, რადგან შარშან, მარტში სცემა მოდელი კატრინ ვაჩევა. დაზარალებულის თქმით, ფეხბურთელმა ის ჯერ გალახა, ცხვირი გაუტეხა, შემდეგ კი თავის ბინაში გამოკეტა რამდენიმე საათით.**

„მაშინ მილანში ვიყავი. გვიან ღამით ვიღაცამ გაურკვეველი ნომრიდან დამირეკა და მკითხა, თუ სად ვიყავი. მე კი ვკითხე, თუ ვინ მირეკავდა. „განა არ იცი? ძალიან კარგი. ამჯერად კი არ გცემენ, არამედ მოგკლავენ!" – იყო პასუხი.



ორლინოვის საქციელი შემზარავია თავისი სისასტიკით, მით უმეტეს, რომ მას არავითარი სერიოზული ურთიერთობა არ ჰქონია ლამაზმანთან – მათ ერთმანეთი გაიცნეს სოციალურ ქსელში Facebook.

თუმცა განცხადება პროკურატურაში ვაჩევამ დიდი ხნის წინათ დაწერა, რატომღაც ფეხბურთელი სასამართლოში მხოლოდ ახლა დაიბარეს.

**რეიტინგი**

# „ქვირიანი" ვარსკვლავები

**მსოფლიო სპორტის ვარსკვლავთა ჰონორარები რომ ასტრონომიულ თანხებს „ეთამაშება", ამას თქმა არ უნდა, მაგრამ გაცილებით მაღალ შემოსავალს ისინი სხვადასხვა საქონლის რეკლამისგან იღებენ.**

მაგალითად, ცუდად თამაშობს თუ კარგად, პოპულარული რუსეთელი ჩოგბურთელის მარია შარაპოვას საბანკო ანგარიშზე ეს არანაირად არ აისახება. მის კეთილდღეობას დიდი ხანია არანაირი კავშირი აღარა აქვს ჩოგბურთის კორტებზე მიღწეულ წარმატებებთან. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ პრესტიჟული ამერიკული ჟურნალის „ფორბსის" მიერ შედგენილ სიაში, რომელშიც 2010 წლის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანაზღაურების მიმღები 50 სპორტსმენი დაასახელეს, მარია შარაპოვა, ისევე როგორც წინა წელს, ერთადერთი მანდილოსანი აღმოჩნდა. ჟურნალის ცნობით, შარშან შარაპოვამ 24,2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.



მიღებული მილიონების ლომის წილი ჩოგბურთელი ლამაზმანის სპორტული ტანსაცმლის მსოფლიოში უდიდეს მწარმოებელ კომპანია „ნაიკთან", ასევე ფეხსაცმლის ბრენდთან „ქოულ ჰაანთან" დადებული კონტრაქტებით მიღებულ თანხებზე მოდის. გარდა ამისა, მაშა შარაპოვა რეკლამას უწევს კოსმეტიკას, საათებს, ავტომანქანებსა და მობილურ ტელეფონებს.

„ფორბსის" სიაში კი ყველაზე მდიდარი სპორტსმენი კიდევ ერთხელ გახდა გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსი, რომლის შემოსავალზეც არანაირი გავლენა არ მოუხდენია არც სექს-სკანდალს, არც წარუმატებელ თამაშს, არც მრავალი სპონსორის მიერ მასთან კონტრაქტის ჩაშლას.

**2010 წლის მსოფლიოს ყველაზე მაღალი ანაზღაურების მიმღები სპორტსმენები**

**1. ტაიგერ ვუდსი** (გოლფიძ – 75 მილიონი დოლარი; **2. კობი ბრაიანტი** (კალათბურთიძ – 53; **3. ლებრონ ჯეიმსი** (კალათბურთიძ – 48; **4. როჯერ ფედერერი** (ჩოგბურთიძ – 47; **5. ფილ მიკელსონი** (გოლფიძ – 46,5; **6. დევიდ ბექჰემი** (ფეხბურთიძ – 40; **7. კრიშტიანუ რონალდუ** (ფეხბურთიძ – 38; **8. ალექს როდრიგესი** (ბეისბოლიძ – 36; **9. მიხაელ შუმახერი** (ავტორბოლაძ – 34; **10. ლიონელ მესი** (ფეხბურთიძ – 32,3; **11. ფერნანდო ალონსო** (ავტორბოლაძ – 32; **12. რაფაელ ნადალი** (ჩოგბურთიძ – 31,5; **13. ვალენტინო როსი** (მოტორბოლაძ – 31; **14. ტომ ბრედი** (ამერიკული ფეხბურთიძ – 31; **15. ლიუის ჰემილტონი** (ავტორბოლაძ – 30; **16. დერეკ ჯეტერი** (ბეისბოლიძ – 29; **17. დეილ ერნჰარდი** (ავტორბოლა, ნასკარიძ – 28,5; **18. იაო მინი** (კალათბურთიძ – 27,7; **19. დუაიტ ჰოვარდი** (კალათბურთიძ – 27,6; **20. დუეინ უეიდი** (კალათბურთიძ – 26,6; **21. პეიტონ მენინგი** (ამერიკული ფეხბურთიძ – 26,1; **22. იჩირო სუზუკი** (ბეისბოლიძ – 26; **23. კარმელო ენტონი** (კალათბურთიძ – 25; **24. კაკა** (ფეხბურთიძ – 25; **25. მენი პაკიაო** (კრივიძ – 25; **26. ჯეფ გორდონი** (ავტორბოლა, ნასკარიძ – 24,9; **27. რონალდინიო** (ფეხბურთიძ – 24,7; **28. ამარე სტადემაიერი** (კალათბურთიძ – 24,5; **29. მარია შარაპოვა** (ჩოგბურთიძ 24,2; **30. უეინ რუნი** (ფეხბურთიძ – 24, 1.

**ირმა ირემაშვილი**

**აშკარა, დაუჯერებელი**

## ზვიგენებმა რეკორდი ვერ ჩაუშალეს

**პირდაპირ ამტანობის სასწაული მოახდინა 48 წლის ავსტრალიელმა ქალბატონმა პენი პალფრიმ. მამაცმა ქალმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა.** კაიმანის კუნძულებიდან ორის – ოახუსა და კაუაის შორის 108 კილომეტრი მოცურავემ 40,5 საათში გაცურა, ისე რომ არ გამოუყენებია საცურაო „ლასტები" და არც სპეციალური ბადე, ზვიგენებიდან რომ დაიცავდა. ისინი კი ამ წყლებში უამრავია. დისტანციის დაფარვისას ავსტრალიელს მიაცილებდა გუნდი კატერით, რომელიც ზღვის მტაცებლებს აფრთხობდა, აგრეთვე მწვრთნელ-კონსულტანტი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მანძილი პალფრიმ შეუჩერებლად გადალახა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩვენი კარაბადინი

# გვირჩევს ექიმი ნუგზარ წეველიძე

### რით არის საშიში წნევის აწევა?

**მთელი ცხოვრება მაღალი წნევა მაქვს, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. თერაპევტი კი მეუბნება, რომ უნდა ვიმკურნალო. რატომ?**

**ა. ჩხეიძე, ზესტაფონი**



— ეს მეტად გავრცელებული არასწორი აზრია. მაღალ წნევად ითვლება 140-90 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტით. და აქ წნევა განწყობილებაზე გავლენა როდია. ეს არის ის, რომ არის ინსულტებისა და ინფარქტების განვითარების რისკი. ალბათ გაგიგონიათ: რა ახალგაზრდა იყო 40 წლისა და გარდაიცვალაო. ამის ერთ-ერთი მიზეზი — მაღალი წნევაა (არტერიული ჰიპერტონიაძ. თუ რამდენჯერმე მაინც დააფიქსირეთ იგი თქვენში — აუცილებლად მიმართეთ თერაპევტს. ის შეაფასებს ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს და დაიწყებს ბრძოლას მასთან, რათა ის აღარ იყოს.

### თვალი ყურადღებას ითხოვს

**დიდ დროს ვატარებ კომპიუტერთან. დაძაბული სამუშაო დღის ბოლოს ვგრძნობ ძლიერ ტკივილს და ჩხვლეტას თვალებში. თუ არის რაიმე საშუალება, რომ დავეხმარო ჩემს მხედველობას, გაუძლოს ამ დატვირთვას.**

**თიკა მხეიძე, თბილისი**

— რასაკვირველია, საშუალებები არის. ნუ დაიზარებთ შეასრულოთ რამდენიმე ვარჯიში, რომლებიც დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ მოსალოდნელი ზიანი თქვენი თვალებისთვის. მათი შესრულება შეიძლება საოფისე სავარძლისგან მოუშორებლადაც.

1. რაც შეიძლება მაგრად დახუჭეთ და მერე გაახილეთ თვალები. 5 წამის შემდეგ ეს კვლავ გაიმეორეთ.

2. ღრმად ჩაისუნთქეთ, დაიწყეთ თვალების ტრიალი საათის ისრის მიმართულებით, ამოისუნთქეთ — და დაატრიალეთ თვალები საპირისპირო მიმართულებით. იგივე გაიმეორეთ დახუჭული თვალებით.

3. ყურადღება გაამახვილეთ რომელიმე დაშორებულ ობიექტზე (10 მეტრზე ახლოს არ უნდა იყოსძ, შემდეგ კი მზერა გადაიტანეთ საგანზე, რომელიც უფრო ახლოსაა. და ასე გააკეთეთ რამდენჯერმე, დღეში 5-7 წუთის განმავლობაში.

4. დაახლოებით 30 წამით მზერა მიაპყარით რაიმე დაშორებულ საგანს.

მშრალი თვალის სინდრომის პროფილაქტიკისთვის, რაც ოფისის ბევრ მშრომელს აწუხებს, შეასრულეთ ყველაზე მარტივი ვარჯიში: რამდენიმე წამის განმავლობაში ხშირად აპაჭუნეთ თვალი და პერიოდულად მიიფარეთ ხელი თვალებზე 5 წამით.



სისხლის ცირკულაციასა და ნერვებზე კარგ გავლენას ახდენს თვალების მასაჟი.

მაგრამ თქვენი თვალების კუნთებს, ისევე როგორც სხეულის ნებისმიერ სხვა კუნთს, სჭირდება საერთო ფიზიკური აქტიურობა. თვალებისთვის სპორტის საუკეთესო სახეობებია — ცურვა, ჩოგბურთი, ბადმინტონი. ისინი საუცხოოდ ავარჯიშებენ თვალის კუნთებსა და ყელის ზონას.

### რატომ არის კიბო ინფარქტზე უფრო საშიში?

**რატომ არის, რომ მსახიობები ადრე ძირითადად იღუპებოდნენ გულის დაავადებებით, ახლა კი სულ უფრო ხშირად კიბოთი?**

**გ.ახალაია, აბაშა**

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, თუნდაც ყველაზე ადრეულ სტადიებში, დიაგნოსტირდება საკმაოდ მარტივად. თავისდროული მკურნალობა კი — არის იმის გარანტია, რომ ადამიანმა იცოცხლოს დიდხანს. თანაც უკანასკნელ ხანებში უფრო ხელმისაწვდომი ხდება მცირეტრავმატული ჩარევა — მაგალითად, სტენდირება, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს ვადაში გადავწყვიტოთ გულის პრობლემები „ძირშივე“. ონკოლოგიის დიაგნოსტირება, რომელსაც ძალიან ხშირად დაბალი იმუნიტეტი იწვევს, ადრეულ სტადიაში გაცილებით უფრო რთულია. მკურნალობა კი გვიან სტადიებში უკვე არ იძლევა კარგ შედეგებს. ამიტომ ონკოლოგიისაგან ცნობილი ადამიანები მართლაც ადრე მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან.

ეთნოფსიქოლოგია

# ცხოვრება წინდაწინ დაწყობილი გეგმით

**„მითხარი ვინ ხარ და მე გეტყვი თუ რა გინდა!“ — ამის თქმა თავისუფლად ან ძველინდოელ ფილოსოფოსს, ანდა სიცივედინამიკის თანამედროვე მიმდევარს შეეძლო ეთქვა.**

სიცივედინამიკა — თანამედროვე მეცნიერების ახალი მიმართულებაა, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ზიგმუნდ ფროიდის თეორიას, ფსიქოგენეტიკასა და... სანსკრიტულ ვედებს აერთიანებს. „საკუთარი თავისა და საკუთარ შესაძლებლობათა შემეცნებით ადამიანი ცხოვრებას გემოს უგებს“, — ამბობს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჰანა ჰოჰლი.

ძველ ინდოეთში მიაჩნდათ, რომ **თითოეული ადამიანი სამი სტიქიის ნიშნის ქვეშ იბადება, რომლებიც წელს, თვესა და დაბადების საათს შეესაბამება.** მეცნიერთა მიერ შემუშავებულ თეორიას ჰოროსკოპთან არანაირი კავშირი არა აქვს, თუმცა ერთგვარი ციკლური მსგავსება აქაც არის — მასში 12 სტიქიაა გაერთიანებული.



თეორიის თანახმად, ვთქვათ, 1954 წლის (ცეცხლიძ 7 დეკემბრის (ნიადაგიძ 22.30 საათზე დაბადებული კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიური და, ერთგვარად, პოზიორი იქნება, მთელ ძალ-ღონეს კარიერას მოახმარს, განცხრომის ტრფიალი და ბუნების წიაღში დასვენების მოყვარული იქნება.

საბედნიეროდ, ცოტა ვინმე თუ ეკუთვნის მხოლოდ ერთ სტიქიას. ისინი, ვისაც ცოტ-ცოტა ყველა თვისება აქვს, ჰარმონიული პიროვნებები არიან. საშინელებაა, როცა მშობლები ან მასწავლებლები ბავშვის აღზრდა-გამოსწორებისას მას საკუთარ სურვილთა სირცხვილის გრძნობას უნერგავენ. ინტრიგების სიყვარული (ქვანახშირის სტიქიაძ არცთუ ურიგოა ისევე, როგორც ჰიპერაქტიურობა (ლოტოსის სტიქიაძ, ან მგრძნობიარობა (თიხის სტიქიაძ. **ეს ადამიანის ბუნებაა და ის გამოვლენას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნევროზი ცხოვრებას გაუმწარებს.**

**თითოეული გენის ირგვლივ არსებობს საინფორმაციო ველი, რომელიც წინაპართა გამოცდილებას „ინახავს“.** სწორედ იგი კარნახობს მას ქცევის ნორმებსა და მიდრეკილებებს. მამაკაცს, რომელიც სიამოვნებას იღებს იმისგან, რომ სახლში ფული მიიტანა, იმ კრომანიონელის სიხარული ახსოვს, რომელმაც მამონტი მოინადირა. ხოლო ომის ჟინი, ანდა ქალისთვის მამაკაცის ნების დაყოლიების სიხარული იმდენად მკვიდრად ზის ჩვენში, რომ ამასთან ვერც პაციფისტები, ვერც ფემინისტები ვერაფერს გააწყობენ.

ისმება კითხვა: რა გვიშლის ხელს დღესდღეობით სიამოვნების მისაღებად? ასიდან 80 კაცი იტყვის: ცხოვრების შმაგი რიტმიო. ორასი წლის წინანდელი ცხოვრების სიმდორე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. **თანამედროვე ადამიანს ორი გზა აქვს: ან ძველ ცხოვრებას მისტიროს, ან და ბედნიერი იყოს თანამედროვე ცხოვრებაში, მის ფეხის ნაბიჯს აყვეს. არსებობს მეთოდიკები, რომლებიც წინმსწრებად ცხოვრებას გვასწავლიან: სამი წლით ადრე გაწერილი ყოველდღიურები, საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა, მოქმედების წინაშე შიშის არქონა — ეს სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანისთვის სადღეისოდ მიუღწეველი ბედნიერებაა.**

**ფსიქოლოგებმა საოცარი აღმოჩენა გააკეთეს: თურმე სტრესი — ბედნიერი ცხოვრების აუცილებელი პირობა ყოფილა.** სტრესში მყოფი კაცი იმის შესაბამისად იქცევა, თუ რა სტიქიები მოქმედებენ მასზე: ზოგი სკამებს ლეწავს, ხელებს იქნევს (ცეცხლის სტიქიაძ, სხვა რთულ ვითარებას უჩუმრად იტანს (დედამიწის სტიქიაძ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სპეციალისტმა უნდა შეძლოს და გულჩახვეულ კაცს აიძულოს, გადმოანთხიოს უარყოფითი ენერგიის მუხტი — სიტყვებითაც და ჟესტებითაც.

მრავალი ფსიქოთერაპევტი დარწმუნებულია, რომ მხიარულად ცხოვრების, აგრესიის ამოფრქვევის უუნარობა, სხვადასხვა დაავადების პროვოცირებას უწყობს ხელს — კუჭის შეკრულობას, კუჭ-ნაწლავთა ტკივილს, უნაყოფობას...

**ეთნოფსიქოლოგები სერიოზულად მსჯელობენ სხვადასხვა ერთა დახასიათებებსა და პრიორიტეტებზე. გენეტიკური მეხსიერება ყველას სხვადასხვა აქვს ისევე, როგორც ავ-კარგზე საკუთარი შეხედულება. ეროვნულ ხასიათთა განსხვავებებიც სწორედ აქედან მომდინარეობს.**

**დავით მერიშვილი**

ხსოვნა

# შალვა ბაბუხადია



გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ღვაწლმოსილი მუშაკი შალვა ბაბუხადია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს, ინჟინერ-ტექნიკოსი შალვა ბაბუხადია მუშაობას იწყებს „ჩითახევჰესის“ მშენებლობაზე (ბორჯომის რაიონიძ. მშენებლობის დამთავრების შემდეგ მუშაობას საპროექტო ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტში“ აგრძელებს. 1964-1972 წლებში ბატონი შალვა მოღვაწეობს ზონალური სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტში „ზნიეპში“, განყოფილების უფროსად. 1972 წლიდან პენსიაზე გასვლამდე კი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტში „საქწყალპროექტში“ ტექნიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

გამოცდილი სპეციალისტის, წყნარი, თავაზიანი და ყურადღებიანი ბატონი შალვას ხელში სამელიორაციო სისტემებისა და უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების ასაშენებლად მრავალ პროექტს გაუვლია.

ბატონი შალვა იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, მშვიდი, სიკეთისა და სათნოების განსახიერება, საოცარი სითბოთი დაჯილდოებული, კოლეგებისა და ახალგაზრდებისთვის თავდადებული, ერთგული მეუღლე, საუკეთესო მამა და ბაბუა. სადაც კი უმუშავია ბატონ შალვას, ყველგან პატივს მიაგებდნენ, როგორც კულტურულ, სამართლიან, დახვეწილ ინტელიგენტს.

ბატონი შალვას სახელი დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**კოლეგები და მეგობრები**

ნომრის კარიკატურა



— სულ მამამისს დაემსგავსა შენი ბიჭი.
— ჩემი სულელი ქმარი კი მიმტკიცებს, მე მგავსო...

ამირან ერაძის ნახატი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

რუსლან ბაბუხადიას ოჯახი, ანზორ, მანანა, დიმიტრი, ირაკლი ბაბუხადიები, მარიკა ურუშაძე, ფოთოლა, ოლეგ, ვახტანგ ჩოგოვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, ცნობილი არქიტექტორისა და მხატვრის

შალვა ბაბუხადიას

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ ქალიშვილს ნინოს და სიძეს გია ჭირაქაძეს. გამოსვენება 16 VI, 15 სთ. ილია ჭავჭავაძის პრ. 44.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### მესამე და... სამართალი



**სერ ჯეიმს პოლ მაკარტნიმ, როკ-მუსიკოსმა, „ბითლზის“ ლეგენდარული ჯგუფის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, 68 წლის ასაკში მესამედ დაქორწინება გადაწყვიტა. თავისზე 17 წლით უმცროს საცოლეს ნენსი შეველს იგი პირველად ოთხი წლის წინათ შეხვდა. ნენსი საქმის ქალბატონია, მას მაღალი თანამდებობა უკავია ერთ-ერთ მსხვილ ამერიკულ სატრანსპორტო კომპანიაში.**

— ისინი ძალიან ბედნიერები არიან, ერთნაირად აღიქვამენ ცხოვრებას, იუმორს, საერთოდ ირგვლივ ყველაფერს, — აცხადებენ წყვილის მეგობრები.

მუსიკოსმა ქალს ხელი ნიუ-იორკში, ერთობ რომანტიკულ ვითარებაში სთხოვა — მუხლზე დაიჩოქა და ბრილიანტიანი საქორწინო ბეჭედი გაუწოდა. ეს ამბავი დიდად გაუხარდა სტელას, მის ქალიშვილს, ტანსაცმლის ცნობილ დიზაინერს.

აქამდე პოლ მაკარტნის ორი ცოლი ჰყავდა. მისი პირველი მეუღლე ლინდა, სტელას დედა, 1998 წელს სიმსივნით გარდაიცვალა, მეორე ცოლს კი, ჰიზერ მილსს, პოლი 2008 წელს სკანდალით გაცილდა.

პირველი ორი ქორწინებიდან პოლს ექვსი შვილი ჰყავს — ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ნენსის კი, პირველი ქმრისგან, ამერიკელი იურისტისა და პოლიტიკოსისგან ბრიუს ბლეიკმენისგან, ვაჟი ჰყავს.

### მეც გილოცავთ... ჩემს ფეხმძიმობას

**საფრანგეთის პრესა უკვე რამდენიმე კვირაა წერს იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მეუღლე კარლა ბრუნი ფეხმძიმედაა. თავად მადამ ბრუნი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ მისი მოქცევაც და სამოსიც საზოგადოების ყურადღებას უფრო მეტად ამძაფრებს ისევე, როგორც ყვითელი პრესის ჭორები იმის თაობაზე, თითქოს მასაც და მის ქმარსაც საყვარლები ჰყავთ, თან ერთმანეთს ამას არც უმალავენო. თუმცა ეს ჭორი ცოლ-ქმარმა კატეგორიულად უარყო.**



კარლას ფეხმძიმობის თაობაზე ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდობენ, თუმცა საქმე რომ ასეა, ჟურნალისტებს მისი კანის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზე გამოჩენაზე „პირადი და პროფესიული მიზეზებით“ უარის თქმა და დასმულ შეკითხვებზე უცნაური რეაგირება აფიქრებინებთ. მაგალითად, ფრანგული სატელევიზიო არხის TF1-ისთვის მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, სავარაუდო ფეხმძიმობასთან დაკავშირებით მილოცვაზე, მან უპასუხა: თქვენ გილოცავთო.

თუმცა რამდენიმე დღის წინათ, საფრანგეთის პრეზიდენტის მამამ პალ სარკოზიმ გერმანულ გაზეთ „ბილდის“ ჟურნალისტს განუცხადა: „მოხარული ვარ, რომ შვილიშვილი მეყოლება“ და დასძინა, რომ არც ნიკოლას, არც კარლას „ბავშვის სქესის წინასწარ გაგება არ სურთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კარლასავით ლამაზი გოგო იქნება“.

ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ყოფილი მოდელი ახლა ფეხმძიმობის მესამე-მეოთხე თვეზეა, რის თაობაზე ელისეს სასახლეში ოფიციალურ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ. ამის მიზეზად მიაჩნიათ, რომ სარკოზის არ სურს, რომ ოპონენტებმა ბრალი წაუყენონ იმაში, თითქოს არჩევნების წინ იგი პირად ცხოვრებას რეიტინგის ასამაღლებლად იყენებდეს.

45 წლის კარლა ბრუნი-სარკოზის ფრანგი ფილოსოფოსისგან რაფაელ ენტჰოვენისგან 10 წლის ვაჟიშვილი ჰყავს, ნიკოლა სარკოზი კი წინა ქორწინებებიდან სამი შვილის — 26 წლის პიერის, 24 წლის ჟანისა და 14 წლის ლუის მამაა.

### მაშა – დეციბელი

**ჩოგბურთის მოყვარულები უთუოდ ყურადღებას მიაქცევდნენ ერთ თვალშისაცემ გარემოებას, რომლითაც ქალთა და მამაკაცთა თამაშები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: თამაშის დროს მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ძალიან ხშირად კვნესიან და ყვირიან, მამაკაცები კი ხმას არ იღებენ. ბევრს აინტერესებს, მაინც რით არის ეს განპირობებული?**



ისე, რომ ვთქვათ, სპორტის გარეთაც მამაკაცები ქალებთან შედარებით ემოციებს ნაკლებად გამოხატავენ ყვირილით ან კვნესით. ამასთან, საგულისხმოა, რომ ჩოგბურთის „ხმოვანი თანხლება“ პირდაპირ კავშირშია... თამაშის ტემპთან. ჩოგბურთელი ქალები, ჩვეულებრივ, ბურთს მამაკაცებთან შედარებით ოდნავ ნაკლებჯერ ურტყამენ, რა დროსაც დარტყმის მომენტი ამოსუნთქვაზე მოდის. ამდენად, ყვირილი ქალბატონებს უნებლიედ წამოცდებათ ხოლმე. ჩოგბურთელი მამაკაცები კი რამდენადმე უფრო სწრაფად თამაშობენ და მათი დარტყმის მომენტები ჩასუნთქვებისა და პაუზების პერიოდებს ემთხვევა — მათი „სიჩუმეც“ ამითაა განპირობებული. ამავე დროს მრავალი სპეციალისტისა ირწმუნება,რომ ქალების თამაშის მანერა მამაკაცებისაზე უფრო მეტად ეფექტიანია. ამას იმით ხსნიან, რომ ყვირილით შესაძლოა მეტოქის ყურადღების კონცენტრირების დარღვევა და, ამასთან, საკუთარი ჭარბი დაძაბულობის მოხსნაც!

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მარია შარაპოვას საქვეყნოდ ცნობილი „კვნესა-ყვირილი“ 100 დეციბელად ფასდება, რაც პოლიციის მანქანის სირენის ტოლფასია. „კორტზე ყვირილს ბავშვობიდანვე მივეჩვიე, ამიტომ არც არასდროს დავფიქრებულვარ იმაზე, ასე ხმამაღლა რატომ გამომდის. იქნებ ყველაფერი ჩემი ყელის ბრალია?“

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● XV საუკუნეში ინგლისის სამეფოს ორ სამეფო დინასტიას შორის, რომელთა გერბებზე სხვადასხვა ფერის ყვავილები იყო გამოსახული, ომი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ზავის დადებიდან ერთი წლის შემდეგ ინგლისში ძალიან პოპულარული გახდა სწორედ თეთრი და ალისფერი ვარდები.**

**● ვიკინგები თავიანთ აღმოჩენილ ამერიკის სანაპიროს „ვინლანდს“ — ღვინის (ვაზის) ქვეყანას უწოდებდნენ.**

**● იტალიელები პიცას ნაციონალურ მონაპოვრად მიიჩნევენ. ჯერ კიდევ 1835 წელს ალექსანდრე დიუმაც წერდა, რომ პიცაში ჩადებულია იტალიელი კაცის სიბრძნე და ეშმაკობა: პურის ნაჭრით, ოქროს ვაშლით (ანუ პამიდორი), ნივრით, ზეთისხილითა და ხორცის პატარა ნაჭრით ადამიანს ვერ დაანაყრებ, მაგრამ თუ ყველაფერს ერთად პიცად შეკრავ, გენიალურ ნუგბარს მიიღებო.**

**● XIX საუკუნის ბოლოს იტალიის მეფე უბერტო თავის მეღლესთან, მარგარიტა სავოიელთან ერთად ნეაპოლში ჩავიდა დასასვენებლად და გადაწყვიტა იქაური პიცა გაესინჯათ. სახელგანთქმულმა პიცაილომ რაფაელ ესპოზიტომ სამეფო ოჯახს სამნაირი პიცა მოუმზადა: ღორის ქონით, ყველითა და კამით; ნივრით, ზეთისხილითა და ტომატით; მესამე კი — იტალიური დროშის ფერებში. დედოფალი მარგარიტა აღაფრთოვანა მესამე ვარიანტმა და მის პატივსაცემად ყველითა და რეჰანით მომზადებულ პიცას „მარგარიტა“ უწოდეს. იტალიელებს მიაჩნიათ, რომ პიცა ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიაში არსებობდა. თვითონ სახელწოდება „პიცა“ წარმოდგა სიტყვებიდან „პიატო“, ანუ თეფში და „პიაზა“ — მოედანი, ანუ მრგვალი და ბრტყელი. პიცა მართლაც ჰგავს დეკორატიულ თეფშს. პიცას მიირთმევენ როგორც უბრალო რომაელები, ასევე პატრიციებიც.**

**● ზოგიერთ ძველ ხალხში მიღებული იყო დამნაშავის დასჯის სასტიკი წესი — დასჯის დაწყების უფლება დანაშაულის მონაწილეებს ეძლეოდათ. ყოველივე ეს ყველაზე ცნობილ წიგნში „ბიბლიაში“ გვხვდება, ხოლო სასჯელი იყო ქვებით ჩაქოლვა.**

**● ერთ-ერთმა პარიზელმა ჟიულმა შექმნა განსაკუთრებულად მედეგი საღებავი, რომლითაც ის გამდიდრდა და XVI საუკუნის დასაწყისში საკუთარი მანუფაქტურაც შექმნა, რომელიც დეკორატიულ ქსოვილს, ხალიჩებსა და შპალერებსაც კი უშვებდა, — ეს ცნობილი პარიზელი გვარად გობელენი გახლდათ.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

## კადრი



## ანეკდოტები

— ძვირფასო, აჰა შენ ასი ლარი და იყიდე ფეხსაცმელი. ხომ გინდოდა მისი ყიდვა?

— მინდოდა, მაგრამ შენ არ იცი, რა ღირს იგი.

— სამაგიეროდ ახლა შენ იცი.

* * *

— ერთი კარგად დამიგდე ყური! წუხელ მთვრალმა, როგორც ყოველთვის, ნაცნობ გოგოებს გავუგზავნე ესემესი — „მე შენ მიყვარხარ“. შემთხვევით იგი ჩემს შეფსაც გავუგზავნე!



— რაო, ისევ ახალ სამუშაოს ეძებ?

— არა, პირიქით, შეფმა დღეს ხელფასი მომიმატა. მაგრამ რაღაც სხვანაირად მიყურებს და ახლა მეშინია, პედერასტი არ იყოს!

* * *

უმჯობესია, ღალატში იყო ეჭვმიტანილი, ვიდრე იმპოტენტობაში.

* * *

— ექიმო, იმ ტაბლეტებს, რომლებიც თქვენ გამომიწერეთ, რაიმე ძლიერი გვერდითი მოვლენები ხომ არა აქვს?

— კი. ისინი საგრძნობლად შეგითხელებენ საფულეს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24